პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო

21 იანვარი შაბათი

რედაქციის მისამართი: თბილისი, [illegible] № 4 [illegible]
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14-76 მდივნის № 19 [illegible]

16 შაბათი, 21 იანვარი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 21 იანვარი 1922 წ. № 16

1922 წ. 21 იანვარს საღამოს 4 საათზე, საქართველოს რევკომის შენობაში შესდგება

## საქართველოს კ. პ. თბილისის ორგანიზაციის კონფერენცია

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

თბ. კ. მდივანი ლოლობერიძე,

## საბჭოთა აჭარა

აჭარაში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა არჩევნები უკვე კარგა ხანია, რაც დამთავრდა, ბუნებრივათ ამას შედეგათ უნდა მოყოლოდა ამ მშრომელთა ორგანოების დაგვირგვინება სრულიად აჭარის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა.

და ეს კიდევაც ასე მოხდა. უკვე შეიკრიბა ეს ყრილობა ʼ გაარჩია მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც იდგა აჭარის მშრომელი ხალხის წინაშე.

ყველამ კარგათ იცის თუ რა მდგომარეობაში იყო აჭარის მშრომელი ხალხი რუსეთის თვითმპყრობელობის დროს, თუ როგორ ავიწროებდენ და სტანჯავდენ მას ნიკოლოზის აგენტები, ერთი მხრით, და ოსმალეთის ბეგებისა და მოლების, მეორეს მხრით. მაგრამ მდგომარეობა არ გამოცვლილა არსებითად თვითმპყრობელობის დამხობისა ʼ მენშევიკების გაბატონების შემდეგ საქართველოში. აჭარელი მშრომელი გლეხი ისეთივე მონა და ყმა იყო ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით, ბეგებისა და მოლების, როგორც თვითმყრობელობის დროს. მის ქოხში თავისუფლების არავითარ სხივს არ შეუნათებია, ის ძვე- [illegible]

[illegible]

ლი თავისუფლება მიანიჭა მას—გამორკვეულიყო თავის მდგომარეობაში და კიდევაც გამოერკვა. აჭარის გლეხებმა აიღეს თავიანთ ხელში ძალა-უფლება ფუხარა (ღარიბ ღატაკთა) კომიტეტების დაარსების სახით და იცვნეს თავისი მტერი და მოყვარე. ამ კომიტეტების პირველმა ყრილობამ ფარდა ახადა აჭარის გლეხობის დაუძინებელ მტრებს, ბეგებს და მოლებს, რომლებიც სპეკულიაციას ეწეოდენ მშრომელ და ღარიბ-ღატაკ გლეხებზე, რათა გაეხანგრძლივებიათ თავიანთი უხეში ბატონობა ამ უკანასკნელებზე, და ღირსეული პასუხი გასცა მათ მით, რომ მოათავსა ისინი საპყრობილეში, სადაც დღეს სხედან მხოლოდ მშრომელ ხალხის მტრები და ორგულები, მათი ინტერესების გამცემლები და გამყიდველები.

ახლა აჭარელი მშრომელი გლეხი აღარ ხედავს ქართველ მუშასა და გლეხში თავის მტერს და ორგულს. პირიქით ის მოძმეთ ყავს მას მიჩნეული და ერთად ეწევა მხნეთ და დაუღალავათ საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. ამის თავდებია ქ. ბათომში მომხდარი სრულიად აჭარის [illegible]

## ღრმა პოლიტიკოსი

[illegible]

და მაინცდამაინ ცენტრება დემარკაციული ხაზები, უნდობლობის თესლის ბნევა ორ მეზობელ და მოკავშირე სახელმწიფოს შორის, და ეს „მთლიანი საქართველოს“ მოპოების მიზნით,—მან უნდა მიაშუროს ევროპის ბურჟუაზიის სატახტო ქალაქებს, სადაც „თავისუფალი საქართველო“-ც აყვავებულია და სადაც უხალხო და უტერიტერიო მთავრობა ხან იმპერიალიზმის ჯარების იმედით სულდგმულობს, და ხან იმპერიალიზმის საერთაშორისო კონგრესით, რომელმაც ძველ მებატონეებს უნდა დაუბრუნოს განახლებული, მშრომელთა საქართველო.

## კომუნიზმი თუ კადეტიზმი

საბჭოთა რესპუბლიკების ახალი ეკონომიური პოლიტიკა გაუგებარია ხშირათ არა მარტო ფართე მასებისათვის, არამედ ზოგიერთ ჩვენი პარტიული ამხანაგებისათვისაც. იმ ფაქტიდან, რომ დღეს ნება დართულია კერძო ვაჭრობა, ზოგ ამხანაგებს გამოჰყავთ, დღევანდელი ინტერესების თვალსაზრისით სრულიად დაუშვებელი დასკვნები. ამ გარემოებას დამღუპველი გავლენა შეუძლია მოახდინოს ახალი კურსის ცხოვრებაში გატარებაზე, ვინაიდან თეორიულად კითხვის სწორად დაყენება-გადაჭრაზეა დამოკიდებული ახალი დასაწყისის ცხოვრებაში მიზანშეწონილი გატარება.

ამავე დროს კითხვას უდგებიან სრულიად უბრალოდ. ჩვენ არ გვაქვს საბჭოთა მეურნეობა, მაშასადამე უნდა იქმნეს კაპიტალისტური მეურნეობა. აქედან გამოჰყავთ ასეთი ლოღიკური დასკვნა, რომ ჩვენ უნდა უკუვაგდოთ საბჭოთა მეურნეობის ტიპის აღმშენებლობა და გადავიდეთ კაპიტალისტურზე ე. ი. ჩვენ უნდა ავაშენოთ ისეთი სახელმწიფო, რომელსაც თავის ეკონომიურ ბაზად ექნება კაპიტალისტური ურთიერთობა წინანდელი თავის სახის.

ასეთ მოსაზრებებს, რასაკვირველია ხელს მოაწერენ, როგორც მენშევიკები, ისე კადეტები, ვინაიდან იმათ ეს უნდოდათ, ისინი ამას ქადაგებდენ. გამოდის ისე, რომ საბჭოთა რესპუბლიკები შესდგენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გზაზე იმიტომ, რომ ააშენონ არა პროლეტარული, არამედ ბურჟუაზიული სახელმწიფო. ეს რასაკვირველია, დაუშვებელია შეგნებულ კომუნისტის თვალსაზრისით, თუნდაც სავსებით იზიარებდეს ის ახალ ეკონომიურ პოლიტიკას.

ამ გვარ მოსაზრების შეუწყნარებლობის და იმის დასამტკიცებლათ, რომ ზოგი ჩვენი ამხანაგები უშვებენ თეორიულ შეცდომებს, ავიღოთ ყოფილ მენშევიკურ მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში და შევადაროთ დღევანდელ ჩვენ პოლიტიკას, შემდეგ [illegible] განებავთ საბჭოთა რუსეთის ძველ პოლიტიკას, და მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ არსებობს ეკონომიურ ცხოვრების აღმშენებლობის არა მარტო ორი სახე, არამედ მესამეც, რომელსაც როგორღაც მხედველობიდან უშვებენ. შესაძლებელია ისტორიამ არც-კი იცოდეს მეურნეობის ასეთი სახე, მაგრამ ისტორიამ ხომ არც სახელმწიფოს მართვის საბჭოთა სისტემა იცოდა, თუმცა ის არსებობს და იარსებეს.

არავისათვის ხომ საიდუმლოება არ არის, რომ სახელდობრ მენშევიკები ცდილობდენ ისეთ სახელმწიფოს აშენებას, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა. მათ შესუსტეს სასურსათო ორგანიზაციები იმ აზრით, რომ მუშამოსამსახურენი დაეკმაყოფილებიათ ღირებულებ-დაკარგულ ფულის ნიშნებით, ხელი აიღენ წარმოების გასაზოგადოებაზე და სრული თავისუფლება მისცეს კერძო მწარმო ბლებს. ამას შედეგად მოჰყვა სპეკულიანტების თარეში, რამაც საქართველო მიიყვანა დაღუპვის კარამდე. სახელმწიფო ბანკიდან მენშევიკები სესხს აძლევდენ კერძო პირებს, რომელნიც უფრო აღვივებდენ და აძლიერებდენ სპეკულიაციას. ისინი ხელს არ უწუწყობდენ საზოგადოებრივ ინიციატივას, ებრძოდენ კოოპერაციას და სხვა. ისინი ფიქრობდენ საწარმოვო ძალების განვითარებას განსაკუთრებით კერძო ინიციატივის საშუალებით და დახმარებით, და ავიწყდებოდათ ის გარემოება, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ გარდამავალ ხანაში არც ერთი კერძო მწარმოებელი, არც პოლიტიკურად და არც მატერიალურად დაინტერესებული არ არის საწარმოო ძალთა განვითარებაში, ვინაიდან დღევანდელ პირობებში მათ სპეკულიაცია მეტს სარგებლობას აძლევს, ვინემ წარმოება. ჩვენი ქვეყნის ყოფილი „ბობოლები“ ბევრს ლაპარაკობდნენ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინიციატივის გაუქმების საჭიროებაზე მუშათა და გლეხთა თავისუფლად გაძარცვის მიზნით, მიიღეს რა მათ მენშევიკების დახმარებით ეს თავისუფლება, მთელი თავისი ძლიერება და კაპიტალი წარმოების დარგიდან სპეკულიაციის დარგში გადაიტანენ. რაღა ჭკუაა, რომ ამის შემდეგ გავიმეოროთ მენშევიკების ექსპერიმენტები?

როგორი-ღა არის ჩვენი მიზანი და დანიშნულება ახალ ეკონომიურ პირობებში?

ცხოვრების დღევანდელ პირობებში ჩვენ იძულებულნი ვართ ხელი არ შეუშალოთ კერძო ინციატივას მაგრამ ამასთანავე ერთად უნდა განვავითაროთ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინიციატივა სპეკულიანტებთან საბრძოლველად, რაც უნდა გამოიხატოს ვაჭრობა-მრეწველობის მოწესრიგებაში ბაზრის ამრევთა წინააღმდეგ, კომერციულ კონკურენციის გზით და არა კერძო დუქნების კარების ამოკეტვის გზით. ბაზრის კარი ყველასათვის ღიაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გულხელ დაკრეფილნი ვისხდეთ. ჩვენმა ეკონომიურმა კომისარიატებმა თავისი ენერგია უნდა გააათკეცონ. რათა განავითარონ კომერციული ოპერაციები, შეინარჩუნონ ხელში მთავარი ძაფები ქვეყნის ეკონომიკისა და ერთ წამითაც არ დაივიწყონ, რომ ხელისუფლება იმ კლასს დარჩება, რომელიც მოახერხებს შეინარჩუნოს ბატონობა არა მარტო პოლიტიკურ სფეროში, არამედ ეკონომიურშიც. ჩვენი დანიშნულება ასე ესმის რუსეთის საუკეთესო ჩვენს ამხანაგებს, რომელთა წინადადებითაც რუსეთის კომპარტიის კომფერენციამ სწორედ ამ შინაარსის რეზოლიუცია გამოიტანა. ის ვინც ასე არ უყურებს საგანს, არ შეიძლება იყოს კომუნისტი; ის ვისაც სურს ააშენოს პროლეტარული ბატონობა ბურჟუაზიულ ურთიერთობაზე, იგი შეგნებულად, თუ შეუგნებლად ეს სულ ერთია) ანვითარებს არა კომუნიზმს, არამედ კადეტიზმს, როგორც მკითხველი ხედავს, ყველა ეს არ გავს მენშევიკურ პოლიტიკას, რომელიც ემყარებოდა კაპიტალისტურ მეურნეობის აშენებას კერძო პირთა დახმარებით, მაგრამ ეს არ არის საბჭოთა მეურნეობაც, რომელიც შენდებოდა რუსეთში 4 წლის განმავლობაში და რომელსაც საფუძვლად უდევს მთელის წარმოებისა და განაწილების გადასვლა სახელმწიფოს ხელში.

კერძო ინიციატივისათვის თავისუფლების მიცემა იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვს მაქსიმუმი პრივილეგიისა და უფლების მათ წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენ გვებრძვიან ვაჭრობა-მრეწვ ლობის განსაზოგადოების საქმეში—აი ეს არის ჩვენი მიზანი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში და არა მოსპობა და გაუქმება იმ ეკონომიურ კომისარიატების, რომლებმაც უნდა იბრძოლონ დღევანდელ ეკონომიურ თავაშვებულობის და ანარქიის წინაღმდეგ.

ა. ერქომაიშვილი.

## აღორძინების ახალი ნიშნები

როდესაც შემოდგომაზე, ახალი ეკონომიური პოლიტიკის გაში, გაუმჯობესება დაეტყო ჩვენ სამეურნეო ფრონტს, თვითეულ ჩვენგანს ეჭვი ებადებოდა ამ გაუმჯობესობის სიმტკიცეში.

მაგრამ რაც დრო მიდის მით უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ ეს გაუმჯობესება არ არის გარდამავალი, რომ ის მომასწავებელია მტკიცე, თუმცა ნელი ნაბიჯით მიმდინარე დასაწყისის.

პირველ ყოვლისა წარმოების შეუჩერებელი აღორძინებას ვაჩნევთ დონეცის აუზში. აი ციფრები ქვა-ნახშირის ამოღების შესახებ ამ რაიონში უკანასკნელი თვეების განმავლობაში.

ივლისი —9, 1 მილიონი ფუთი.
აგვისტო—11, 3 „ „
სექტემბ.—18, 5 „ „
ოქტომბ.—34, 9 „ „
ნოემბერ.—42, მილ.ფ.დაახლოვებით.
დეკემბ. —51 მილიონი ფუთი.

აქ არ არის მიღებული მხედველობაში რაოდენობა იმ ქვა-ნახშირის რომელიც ამოღებული იქნა იჯარით გაცემულ პატარ-პატარა მაღაროებში.

რასაკვირველია, 51 მილ. ფუთი ფრიად მცირეა იმასთან შედარებით რაც იყო ომამდი და რაც გვჭირდება ჩვენ. ჩვენ უნდა გავასამოთ ეს რაოდენობა. მაგრამ ზაფხულთან და შემოდგომის დასაწყისთან შედარებით ქვა-ნახშირის ამოღებამ ძალიან იმატა. ხოლო უფრო გამამხნევებელია ის, რომ გაუმჯობესება შეუჩერებლათ სწარმოებს და ნახშირის ამოღება მატულობს ყოველთვე, რომ [illegible]ხელაც არ დატყობია მას დაკლება.

სანუგეშოა აგრეთვე ისიც, რომ დონის აუზში ქვანახშირის ამოღების გადიდებასთან ერთად, გაუმჯობესება ემჩნევა ნავთის წარმოებასაც ბაქოს რაიონში. ასეთივე კარგი ცნობები ნავთის ამოღების შესახებ მოდის გროზნოდანაც.

იზრდება ნაყოფიერება მრეწველობის სხვა დარგებშიაც. აი მაგალითად რამოდენიმე ტელეგრამის შინაარსი, რომელიც ჩვენ მივიღეთ როდესაც იწერება ეს წერილი.

1) „კავკავის რკინის გზის სახელოსნოებმა, მიუხედავათ მუშათა რაოდენობის შემცირებისა, 4,324-დან 2,236 მდე,. ნოემბერში შეასრულეს 100 პროცენტით მეტი სამუშაო, ვინემ ოქტომბერში, იმ გეგმიდან, რომელიც მათ უნდა გაეტარებიათ ორთქლმავლების შესაკეთებლათ“.

2) „ივლისიდან დაწყებული რიცხვი საფეიქრო სამრეწველო დაწესებულებათა იაროსლავის გუბერნიაში გადიდდა 6-დან 17-მდი. გამოცოცხლება დაეტყო მას სექტემბერში და უკვე ოქტომბერში ნაყოფიერებამ გადაამეტა 150 პროცენტს. ნოემბერში და დეკემბერში შრომის ნაყოფიერებამ კიდევ უფრო იმატა. ყველაზე უფრო იმატა ბამბეულობის წარმოებამ“.

ყოველ თვე ეტყობა აღორძინება წარმოების ყველა დარგებს. ვიმეორებთ, მიღწეული შედეგები, რასაკვირველია, კიდევ უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ უნდა მივაღწიოთ, მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს გაუმჯობესება მტკიცეა და თანდათან მატულობს.

3) მას შემდეგ, რაც კონოტოპის მექანიკურმა ზავოდმა მოახერხა თვითონ დაჰფაროს თავისი ხარჯები, მისი ნაყოფიერება გადიდდა 500 პროცენტით ივლისში მუშაობასთან შედარებით“.

4) „კრემენჩუგიდან იტყობინებიან რომ კრემენჩუგის გუბერნიის თუთუნის ფაბრიკების ნაყოფიერებამ ნოემბერში მიაღწია საშუალო 122 პროცენტს დავალებულ გეგმაზე გადამეტებით“.

კიდევ უფრო მეტი გაუმჯობესება ეტყობა, მომხმარებ. კოოპერაციის მუშაობას. აი ციფრები, რომლებიც ახასიათებენ ცენტროკავშირის ოპერაციების ზრდას უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში. შემდეგი რაოდენობა ნაანგარიშევია ოქროს მანეთების ღირებულებით.

სექტემბერი 1 მილიონი მან.
ოქტომბერი 3 „
ნოემბერი 6 „
დეკემბერი 16 „

ეს არის ზრდა ისევ შეუწყვეტელი და ფრიად სწრაფი. თითო შემდეგი თვე გვიჩვენებს ორჯერ და სამჯერ მეტს წინა თვისას.

ყველა ამ გაუმჯობესებას უდევს საფუძვლათ ახალი ეკონომიური პოლიტიკის სწორი კურსი. ეს ერთი და მეორეც—ის, რომ საწარმოო დაწესებულებებს რეგულიარულად, თუმცა

## ახალი ხანის დასაწყისი

### რუსეთის დელეგაცია

**რომი,** 18 იანვარი (რადიო). რომში მიღებულ ცნობებით, გენუის კონფერენციაზე გასაგზავნ რუსეთის დელეგაციის მეთაურათ იქნება ჩიჩერინი, რომელიც უკვე დაინიშნა.

### პუანკარე და საფრანგეთის პროლეტარიატი.

**მოსკოვი,** 20 იანვარი. ევროპის ყველა ქვეყნები თავისი სამეურნეო განვითარების, ან უფრო სწორად, სამეურნეო დაშლის მთელი მსვლელობით იძულებულნი არიან აღადგინონ კავშირი რუსეთთან. საფრანგეთის გარდა, რუსეთის საკითხში ევროპის ყველა ქვეყნები მისდევენ ინგლისს და ამ ქვეყნების დიპლომატიამ, დაბოლოს, ჩამოაგდო ჩვენთან ლაპარაკი ერთად ერთ გონიერ და გასაგონ ენით—ეკონომიურ აუცილებლობის ენით. საფრანგეთის იმპერიალიზმი გზას უბორკავს ევროპის ეკონომიურ აღორძინების ყოველგვარ ცდას. ამაზე „პრავდა“ მოწინავეში სწერს: „ჩვენი ამხანაგები—საფრანგეთის კომუნისტები აწარმოებენ გადამწყვეტ ბრძოლას საფრანგეთის ბანკის ნაპოლეონების და მათი მთავრობის წინააღმდეგ, რომელნიც ანიავებენ ქვეყნის საშუალებებს განუსაზღვრელ შეიარაღებაზე და უყურებენ მოსკოვის საბჭოთა მთავრობას როგორც მეფის ვალების გირაოს; მაგრამ ეს ბრძოლა ჯერჯერობით მიმდინარეობს საფრანგეთის პროლეტარიატის ფართე მასსების აქტიური მონაწილეობის გარეშე. ასეთი ბრძოლა აშკარად არა პროპორციონალურია როგორც ფრანგ მუშების გაზრდილ ძალებსა და შეგნებასთან, ისე საფრანგეთის მთავრობის და მის პოლიტიკის სისაძაგლესთან; ის არ არი პროპორციონალური აგრეთვე ისტორიულ მომენტთან და იმ როლთან, რომელსაც ბურჟუაზიული პარიზი თამაშობს, ხოლო მუშათა პარიზი უნდა თამაშობდეს; ევროპის პოლიტიკაში სიტყვა ეკუთვნის საფრანგეთის პროლეტარიატს. საფრანგეთის სოციალისტებმა ახლანდელი პრემიერი—საფრანგეთ-გერმანიის ხოცვა ჟლეტის მთავარი სულის ჩამდგმელი—მონათლეს „პუანკარე—ომი“. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საფრანგეთის მუშები შეაბრუნებენ ამ სახელწოდებას და გაიხდიან თავის საომარ ყიჟინად სიტყვებს: „ომი პუანკარეს“.

### საფრანგეთის კომუნისტები კრიზისის შესახებ.

**მოსკოვი,** 20 იანვარი, რადიო. ვარშავიდან იტყობინებიან, რომ „ინტერნაციონალი“ 13 იანვრის თარიღით გამოვიდა დიდი სათაურით: „ძირს პუანკარე, ძირს ომიო“. მოწინავეში ბიქტორ მერიკი სასტიკად ილაშქრებს მკვდრეთით აღმდგარ ახალი პრემიერის წინააღმდეგ და უწოდ ბს მას უდიდეს დამნაშავეს ხოცვა-ჟლეტისას, რომელიც 4-ნახევარი წელიწადი გრძელდებოდა. „ეს ადამიანი, სწერს მერიკი, ისევ ფიქრობს ქვეყნის მმართვას და ლაპარაკობს ერის სახელით. რესპუბლიკის ეს ყოფილი პრეზიდენტი ვერ შესძლებდა ძალა-უფლებას მოქცეოდა სათავეში, თუ არ მეორე, სახელმწიფოებრივ გადატრიალების ეპოქის პრეზიდენტის, ბარონ მილიერანის დახმარებით, რომელმაც ერთ დროს ჯიბეები გაიტენა სარწმუნოებრივი კონგრეგაციების ლიკვიდაციის დროს და რომელიც მოღალატეა სოციალისტურ პარტიის და რესპუბლიკისა“.

### ანტანტის დაშლა.

**ნაუენი.** 18 იანვარი, (რადიო). ცნობილი პუბლიცისტი სტედტი „ტაიმს“-ში ათავსებს წერილს, რომელშიდაც აფრთხილებს საფრანგეთს მის „ბნელ“ მილიტარისტულ პოლიტიკის საფრთხისაგან. ლონდონის სხვა გაზეთები და აგრეთვე „ბერლინერ დაგებლატიც“ სტედტის წერილში ხედავენ ლოიდ-ჯორჯის შეხედულობის ანარეკლს, რომელიც პუანკარესთან შეხვედრის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდი, რომ საფრანგეთის პოლიტიკა ინგლისს უარს ათქმევინებს საფრანგეთისადმი ყოველნაირ სამხედრო დახმარების აღმოჩენაზე. შესაძლებელია შეიქნეს ისეთი მდგომარეობა, რომ საფრანგეთი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით დარჩეს გარიყული ევროპის ყველა სახელმწიფოებისაგან.

### რუსეთისაკენ ლტოლვა.

**ხარკოვი.** 16 იანვარი, (რადიო). ვრანგელის ყაზახთა შორის თავი იჩინა მღელვარებამ რუსეთში დაბრუნების სურვილის ნიადაგზე. თუმცა ვრანგელის შტაბი ამაზე უარს ეუბნებოდა, მაგრამ მაინც იძულებული შეიქნა გაეშვა რუსეთში 1500 ყაზახი, რომლებიც წავიდენ ადესაში.

ჯერ კიდევ, რასაკვირველია, არა საკმაოთ, აწვდიან სურსათს. ეს უკანასკნელი არის ყველაზე უფრო სუსტი მხარე მთელი ჩვენი მუშაობის, მას აქვს მნიშვნელობა საქმის გაუმჯობესებისათვის. მოშლა სასურსათო ფრონტის, შესუსტება სურსათის მიწოდების ჩვენი სამრეწველო რაიონებისათვის, აუცილებლათ არარაობათ აქცევს მიღწეულ გაუმჯობესებას.

აქედან დასკვნა: „მთელი ძალა და ღონე უნდა ვიხმაროთ სასურსათო გადასახადის ასაკრებათ, სურსათის დასამზადებლათ, მის მისაღებათ იქიდან, სადაც ის მოიპოვება.

მაგრამ ჩვენ ხელს გვიშლის ამაში ახალი სიძნელე: ეს არის ტრანსპორტის დაშლა, რაც აფერხებს ციმბირში დაგროვილი პურის მიღებას. ამიტომ ტრანსპორტის გაუმჯობესებას უნდა მიექცეს, რაც შეიძლება დაჩქარებით, ფრიად სერიოზული ყურადღება.

ის გაუმჯობესება, რომელიც ჩვენ მივიღეთ სამრეწველო ფრონტზე, მაჩვენებელია, რომ ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ კარგ შედეგებს ამ ფრონტზე ბრძოლით და გავადიდოთ მისი ნაყოფიერება. მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენმა სასოფლო მეურნეობამ მოგვაწოდოს საკმაო სურსათი და ნედლი მასალა. ამიტომ მუშაობა ჩვენი უკან ჩამორჩენილი და დაშლილი მიწათ მოქმედების აღსადგენათ, არის ერთი ჩვენი უმთავრესი და გადაუდებელი ამოცანათაგანი. „პრავდა“.

# წითელი პრესა

გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო „წითელი დროშა“ („Die rote Fahne“) № 556, ასეთი სათაურით: **„გერმანიის სოციალ-დემოკრატია და საბჭოთა რუსეთი“** სწერს შემდეგს:

„ფორვერტსმა“ გამოაქვეყნა ერთი წერილი მოსკოვიდან, დაწერილი „შემთხვევითი თანამშრომლის“ მიერ. წერილს თან ახლავს სარედაქციო შენიშვნა „ფორვერტსის“, სადაც ნათქვამია, რომ ის „იმდენათ საინტერესოა და რამოდენიმეთ ახალიც, რომ არ შეუძლია არ გააცნოს მას მკითხველები“.

„ფორვერტსში“ დაბეჭდილი წერილი ცხადია ეკუთვნის ამსტერდამის პროფესიონალური ინტერნაციონალის ერთ-ერთს იმ სამ წარმომადგენელთაგანს, რომლებიც გაემგზავრენ მოსკოვში ვოლგის მხარეების დამშეულთათვის დახმარების საქმის მოსაგვარებლათ. მით უფრო მნიშვნელოვანია ის აზრები, რომლებიც გამოთქმულია წერილში. ავტორი აღიარებს პირველ ყოვლისა, რომ „იქ, სადაც გაჭირვებაში ჩავარდნილთა ყვირილი ცას აღწევს და, როგორც ეს ვოლგას ნაპირებზეა, საჭიროა ამ გაჭირვების შემსუბუქება, არა კომუნისტური მუშების ინტერნაციონალს არ შეუძლია იფიქროს იმაზე, რომ თავისი პოლიტიკური წინააღმდეგობა ამა თუ იმ პოლიტიკური რეჟიმისადმი საქმეთ აქციოს“. მაგრამ „რუსი ძმებისადმი“ ამ კაცთმოყვარული თანაგრძნობის გარეშე ასეა პირდაპირ ნათქვამი წერილში—საჭიროა დაისვას ერთი კითხვა, სახელდობრ, შეუძლია თუ არა ინტერნაციონალურ პროლეტარიატს პოლიტიკურათაც დაუჭიროს მხარი საბჭოთა რუსეთს.

სანამ ამ კითხვაზე პასუხს მისცემდეს, ავტორი არკვევს რუსეთის შინაურ მდგომარეობას და მიდის ისეთ დასკვნებამდი, რომლებსაც შეუძლია გააკვირვოს „ფორვერტსის“ ზოგიერთი მკითხველები. წერილის ავტორი აღიარებს, რომ საბჭოთა მთავრობის თანამედროვე სამეურნეო პოლიტიკა ისეთ შედეგებს აღწევს, რომლებიც სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის იძენენ ინტერნაციონალური პროლეტარიატისათვის. წინააღმდეგობა ინტელიგენციასა და მუშებს შორის გაქრა. „სამართლიანად შეიძლება ითქვას—სწერს ავტორი,—რომ ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი და რუსეთის მუშებთა მასები აღარ არიან გათიშულნი“. ინტერნაციონალური პროლეტარიატის წინაშე დგება ამიტომ განსაკუთრებული ამოცანა. თუ ის მიემხრობა მასთან სამეურნეო დაახლოების საქმეს „ამით ის აღმოუჩენს ზომიერ... მიმდინარეობებს რუსეთში დიდ მნიშვნელოვან დახმარებას, რომელიც შეუძლია მიიღოს რუსეთმა უცხოეთიდან“. ავტორი კონკრეტულ ზომებზე უთითებს და მოითხოვს „რომ მუშათა კლასმა გადამწყვეტი გავლენა მოიპოვოს იმ დაწესებულებებზე, რომლებსაც სურთ დაუკავშირონ რუსეთი მსოფლიო მეურნეობას. პროფკავშირებმა უნდა მოახერხონ განსაკუთრებით, რომ იმ ინტერნაციონალურ კონფერენციებზე, სადაც დასმული იქნება გასარჩევათ რუსეთის საკითხი, მათ დაურჩეთ კარგი წარმომადგენლობა, რომელიც შეეფერება ინტერნაციონალური პროლეტარიატის ინტერესებსა და მნიშვნელობას“...

ასეთი შეხედულება წერილის ავტორის—ამბობს „წითელი დროშა“—არის ახალი ხანის დასაწყისი მთელი სოციალ-დემოკრატიისა და პროფკავშირების დამოკიდებულებაში საბჭოთა რუსეთის მიმართ. რუსეთის რევოლიუციის შემდეგ პირველათ ლაპარაკობს ასე აშკარა და საქმიანათ სოციალ-დემოკრატიული გაზეთი საბჭოთა რუსეთის შესახებ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, აღიარებს საბჭოთა რუსეთის მნიშვნელობას ყველა ქვეყნის მუშებისათვის. დღეს „ფორვერტსიც“ უარს ამბობს, თავის სარედაქციო შენიშვნით ჩირქი მოსცხოს რუსეთს, როგორც ის სჩადიოდა ხოლმე ამას ჩვეულებრივ. ის არკვევს საბჭოთა მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას, აღწერს მის სიძნელეს და დაბოლოს ამბობს:

„ყველაზე უფრო სწორი იქნება, რომ ევროპის მუშათა კლასმა გაამხნეოს საბჭოთა მთავრობა, თავის დაწყებული გზით გააგრძელოს სიარული, რადგან ის მართლაც ერთათ ერთია, რომელიც კაპიტალიზმის ნაწილობრივი ხელახალი აღდგენის არევ დარეულ პირობებში, ჰქმნის შესაძლებლობას **ორგანიული სოციალისტური აღმშენებლობის მუშაობისას**“.

„ფორვერტსი“ უარჰყოფს ამით აზრს კაპიტალიზმის ხელახლა აღორძინების შესახებ რუსეთში. ის თვითონაც თანახმაა იმის, რომ რუსეთის თანამედროვე პოლიტიკას სხვა არავითარი მიზანი არა აქვს გარდა „ორგანიული სოციალისტური საალმშენებლო მუშაობისა“.

„ფორვერტსში“ დაბეჭდილი წერილი ამტკიცებს—ათავებს „წითელი დროშა“—თუ რა დიდი მნიშვნელობას იძენს საბჭოთა რუსეთი მთელი მსოფლიო პროლეტარიატისთვის, როდესაც ამ კითხვას უდგებიან, არა ვიწრო პოლიტიკური ინტერესის, არამედ პროლეტარიატის თვალსაზრისით“.

# „მშვიდობიანობის“ მოტრფიალენი

სწორეთ რომ ვაშინგტონის კონფერენციის მუშაობის დროს გამოვიდა სქელი ჟურნალი: „ბრასეევის საზღვაო ყოველწლიური“, სადაც მოთავსებულია გამოჩენილი სპეციალისტების სტატიები მომავალ ომის შესახებ საზღვაო შეიარაღებათა შემცირების სისტემის დროს. უმრავლესობა მათგანი წინასწარმეტყველობს, რომ მომავალ ბრძოლებში გადამჭრელ როლს ითამაშებენ წყალქვეშა ნავები და ჰაეროპლანები, და აგრეთვე ნაღმებიც, როგორც წყალქვეშა, ისე საჰაეროცო. ბრძოლების ასეთი თუ ისეთი შედეგი დამოკიდებული იქნება ჰაეროპლანების წინასწარი ბრძოლისაგან, ვინაიდან ჰაეროპლანების ძლევამოსილი ესკადრილიას თავის ყუმბარებით, რომლებიც აქამდე არ გაგონილ ძალის მქონე არიან, შეეძლება მტრის ფლოტის მოსპობა.

„მანჩესტერ გარდიანი“ სპეციალურ სტატიაში ადარებს ამ წიგნის გამოსვლას სადმე ბანკეტზე ჩონჩხის გამოჩენასთან, რომელიც მოგვაგონებს სიკვდილს. მთავრობებს, რომლებმაც გაგზავნეს თავიანთი დიპლომატები ვაშინგტონში, სინამდვილეში არ შეუწყვეტიათ ენერგიული მზადება მომავალ ომებისათვის. „მანჩესტერ გარდიანის“ კორესპონდენტს უნახულებია ბალტიმორის ახლოს შეერთებულ შტატებში მხრჩოლავი გაზების ქარხანა. ამ ქარხანას უკავია დაახლოვებით 3.000 დესეტინა სივრცე. მასში მუშაობს 2,100 სამხედრო და 1200 სამოქალაქო მუშა 100 მაღალკვალიფიციურ ქიმიკებს გარდა. ქარხანას, რომელიც მუშაობს შეკვეთილ პროგრამით ყველა მანქანები წესრიგში აქვს მოყვანილი; მას ყოველ წუთში შეუძლია გააფართოვოს თავისი მუშაობა და დაამზადოს 200 ტონი მხრჩოლავი გაზი. სხვა და სხვა გაზებს შორის, რომლებიც იქ მზადდება ყველაზე დიდი შხამი აქვს ლუიზიტს. ეს გაზი სწვავს ყველაფერს, რაც კი ხვდება მას გზაზე. მას ხმარობენ გაზებით ატაკის დროს ქალაქებზე და ვრცელდება ყუმბარების ან და ჰაეროპლანებიდან სპეციალური შლანგების შემწეობით. ეს გაზი სწვავს ტანთსაცმელს, ტყავს, ხორცს. მასკები მის წინააღმდეგ უქმია, ვინაიდან ის სჭამს მათ. ერთ დროს სინჯეს ამ გაზის ხმარება მინდვრის თავების საწინააღმდეგოთ, მაგრამ ის იმდენად შხამიანი აღმოჩნდა, რომ სპობდა თვით მოსავალსაც და სწვავდა მინდვრებს.

ეს გაზის ქარხანა ბალტიმორაში და ახლა ამზადებს 10 ტონს, ე. ი. 600 ფუთ გაზს, ყოველდღე და ეს მაშინათვე ვაშინგტონის კონფერენციის შემდეგ, რომელმაც [illegible] „ახალი ეპოქა“. [illegible] მაქცური ლაპარაკი სრულებითაც არ ქვეცავს ალბათ მომავალი ხოცვაჟლეტისა და სისხლის მღვრელი ომების შესაძლებლობას.

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი

**წითელარმიელთა დოვლათის კვირეული.**

**მოსკოვი.** 17 იანვარი, (რადიო), დღეს იწყება წითელარმიელთა დოვლათის კვირეული. რუსეთის ყველა მშრომელთაგან ჩვენ მოველით ყურადღებას, ზრუნვას და დახმარებას მათთვის, ვინც დაიცვა ჩვენი დამოუკიდებლობა, ვინც დარაჯობს ჩვენს თავისუფლებას, ვინც შეადგენს მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის იმედს, ძალას და სიამაყეს.

წითელარმიელის დოვლათის კვირეული მოსკოვში დაიწყო დიდის აღფრთოვანებით. ცენტრალური სამმართველოები აძლევენ მასალებსა და ფულებს წითელარმიელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. ცენტროკავშირმა გამოყო კომისია გამოსარკვევათ (დამახინჯებულია)... ფონდისა წითელ არმიისთვის. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი დასთანხმდა მთელი გარნიზონის ყაზარმების ელექტრონით განათების მოწყობას და რემონტს; მანვე მისცა ალებასტრი, შუშა და სხვა საალმშენებლო მასალები. სახელმწიფო და საგუბერნიო გამომცემლობის განყოფილებები უგზავნიან დიდძალ წიგნს, ფოსტის ქაღალდს, პლაკატებს და სურათებს წითელარმიელთა კლუბების ბიბლიოთეკებისთვის. ს. მ. უ. ს პრეზიდიუმის წევრი „ჩუსა“ უფროსმა თანხმობა განაცხადა საალმშენებლო მასალების და ნივთების გაცემაზე, რომლებიც საჭიროა წითელარმიელთა მეურნეობისთვის. სრულიათ რუსეთის საგანგებო კომისია აძლევს სამხედრო ტანისამოსს—100 კომპლექტს და სხვა ნივთებს სამანუფაქტურო ტრესტს აძლევს ნართსა, ფეხსახვევებს და მანუფაქტურას. ჯანმრთელობის განყოფილება აძლევს 30 ფუთ თევზის ქონს და 100 დიუჟინი კუპრის საპონს. სასურსათო კომისარიატი აძლევს სანოვაგეს, თამბაქოს და ასანთს 200 მილიონ მანეთისას. ს. მ. უ. ს. იძლევა ყაზარმების შესაკეთებლათ და წითელარმიელთა მეურნეობისთვის სულ 2 მილიონამდე ღირებულ საგნებს. მოსკოვის საბჭომ გადასდო წითელარმიელთა დასახმარებლათ 3 ნახ. მილიარდი მანეთი.

— დამზადებულია პროექტი განსაკუთრებულ გადასახადისა თეატრის და ტრამვაის ბილეთ ბზე, აფიშებზე და სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებზე წითელარმიელთა სასარგებლოთ. დაახლოვებით ანგარიშით ამ გადასახადმა უნდა შემოიტანოს 7 მილიარდი მანეთი.

**მობილიზაცია მიწის მუშაობისთვის.**

**მოსკოვი.** 17 იანვარი, (რადიო). მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ წარუდგინა პარტიის ცეკას წინადადება, რათა მოახდინოს პასუხისმგებელ მუშაკთა მობილიზაცია გაზაფხულზე მიწის კამპანიის ჩასატარებლათ. განზრახვა აქვთ ყოველი თემიდან თითო კაცი გაიწვიონ მობილიზაციით. გაწვეულთ მოამზადებენ სპეციალურ კურსებზე, რომლებსაც გახსნიან 20 იანვარს. მარტისთვის ყველა გაწვეულნი უნდა იყვნენ უკვე ადგილებზე, თესვის პირველ მოსამზადებელ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ.

საგიტაციო კამპანიის ჩასატარებლათ განზრახვა აქვთ ისარგებლონ სოფლის მასწავლებელთა კადრით და დაავალონ მათ ლექციების კითხვა მიწის საკითხებზე სარაიონო აგრონომების ხელმძღვანელობით. მომავალ თესვის კამპანიაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა მობილიზაციით გაწვეული მოწაფენი, სათემო ინსტრუქტორების ან სარაიონო აგრონომების სახით.

# კომპარტიის სრულიად რუსეთის კონფერენცია

## სასოფლო მეურნეობა

(ამხ. ოსინსკის მოხსენება)

**კრიზისი.**

უკვე 1920 წ. შემოდგომაზე სრული სიცხადით, აშკარად და ნათლად დავრწმუნდით, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა განიცდის მძიმე კრიზისს.

ნათესი მიწის სივრცე 1920 წელში შეადგენს დაახლოვებით 1911 წლის სივრცის ორ-მესამედს, თავის მხრივ 1916 წ. ნათესი, მაშინდელი გამოანგარიშებით შემცირდა 16 პროცენტით, ომამდე არსებულ რაოდენობასთან შედარებით ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ 1920 წელში, რუსეთში ნათესი მარტო სივრცე შეადგენდა ჩვეულებრივი ნორმალური ნათესის რაოდენობის ნახევარს, ან შეიძლება უფრო ნაკლებსაც. რაც შეეხება ცოცხალ ინვენტარის,—ცხენის რაოდენობა მაგ. შეადგენს 1913 წ. 17 პროცენტს, მაგრამ ეს ოფიციალური ცნობაა; არა ოფიციალური, კი ჩვენთვის უფრო უნუგეშოა და მრავალი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ ცხენის რაოდენობა შემცირდა ერთ-მესამედზე უფრო მეტით. ასეთსავე სურათს წარმოადგენს ოთხფეხი საქონელი. ცხვრის რაოდენობა მშვიდობიან დროსთან შედარებით შემცირდა თითქმის 45 პროცენტით, ღორი არის 40 პროცენტი ან კიდევ უფრო ნაკლები.

ეს მდგომარეობა, რომელიც მკვეთრი დემონსტრაციაა ჩვენი სასოფლო მეურნეობის მძიმე კრიზისისა, იყო საფუძველი სასურსათო განაწერის შეცვლისა ნატურალური გადასახადით, სამეურნეო ზედმეტი პროდუქტების თავისუფალი გაცვლა გამოცვლის შემოღებისა ერთის მხრით და მეორე მხრით, სახელმწიფოს მიერ ზომების მიღებისა და ფართო დახმარებისა სასოფლო-მეურნეობის საქმეში.

**ახალი პოლიტიკის შედეგები.**

იქონია თუ არა ამ ზომებმა რაიმე გავლენა და რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ჩვენი სასოფლო-მეურნეობა? რომ ავიღოთ ჩვენი ცნობები ნათესი სივრცის შესახებ, და 1921 წლის ქერის შესახებ, დავინახავთ, რომ მრავალ გუბერნიაში, რომელიც შემდეგ ჩაირიცხა დამშეულთა რიცხვში,—ნათესი მიწის რაოდენობა შეადგენდა წარსული 1921 წლის რაოდენობის ორ მესამედს. მოხდა შემდეგი შემცირება კიდევ ერთი-მესამედით. დანარჩენ მწარმოებელ გუბერნიებში 1921 წ. ნათესს შეადგენს 86 პროცენტს 1920 წლისა, ე. ი. შემცირება უდრის 14 პროცენტს. მომხმარებელ გუბერნიებში მომატება უდრის 10 პროც., ნათესი სივრცე 1921 წლისა 1920თან შედარებით შეადგენს 110 პროც, შიდა რუსეთში, ციმბირითა, სამხრეთ-აღმოსავლეთი ზოლით და სხ 1921 წელს ნათესი უდრის 1920 წლის 75 პროცენტს, ე. ი. სამ-მეოთხედს, მოხდა შემცირება ერთი მეოთხედით 1920 წელთან შედარებით. ეს ციფრები შემცირებულია, მაგრამ ერთის უარყოფა მაინც არ შეიძლება, რომ საგაზაფხულო ნათესი 1921 წლისა 1920-თან შედარებით უფრო ნაკლებია. ამავე დროს, მომხმარებელ გუბერნიებში გარდატეხა მოხდა, 1921 წლიდან იწყო წინსვლა, როგორც ზოგიერთ მწარმოებელ გუბერნიაში. მაგალითისთვის გამოგვადგება რიაზანის გუბერნია, სადაც გაზაფხულზე ქერის ზოლი გადიდებულ იქნა 8 პროცენტით. მიწის განყოფილებათა ცნობები საზამთრო ნათესის შესახებ 27 გუბერნიაში მოწმობს, რომ დამშეულ გუბერნიებში საზამთრო ზოლი წარსული წლის 73 პროცენტს შეადგენს.

ეს ფრიად მშვიდობიანი გადარჩენაა. მომხმარებელ გუბერნიებში წარსულ წელთან შედარებით ნათესმა იმატა 26 პროცენტით. კიდევ მეტი, ნაყოფიერ მწარმოებელ გუბერნიებში, რომელიც სულ ოთხია, მომატება უდრის 23 პროცენტს, ხოლო მწარმოებელ მცირე-მოსავლიან გუბერნიებში,—როგორიც არის—პენზისა, რიაზანისა და პერმის გუბერნიები, 2 პროცენტს, 27 გუბერნიაში (უმეტესად სწორი ცნობები გვაქვს დამშეულ გუბერნიების შესახებ) ზამთრის ნათესი უდრის 95 ნახევარ მილიონ ფუთს ე. ი. წარსულ წელთან შედარებით. შემცირებულია 4 პროცენტით. რომ ავიღოთ ყველა გუბერნიები, განსაკუთრებით, რომ სისწორით ვიანგარიშოთ მომხმარებელი გუბერნიების ცნობები, დავინახავთ, რომ რუსეთში საერთოდ ან იგივე მდგომარეობაა, რაც შარშან, ან არის მცირე მომატება.

ამგვარად აშკარავდება შემდეგი: უკვე ზამთრის ზოლზე გაზაფხულიდან შემოდგომისაკენ ვამჩნევთ პროგრესიულ ტენდენციას. ახალი ეკონომიური პოლიტიკის გავლენა მისწვდა გლეხობის ფართო მასებს, რომელმაც უკვე დაიწყო თავისი მეურნეობის ნაყოფიერების გაძლიერება. გარდა ამისა, ორი კომპანიის წარმატებით დასრულება. სხვა ცნობები 39 გუბერნიის შესახებ გვიჩვენებს, რომ მომავალი ქერის ზოლის 43—44 პროცენტი დაითესა გაზაფხულზე. ეს არის გარანტია, რომ მომავალ წელს ქერისა და სხ. მოსავალი გადიდებული იქნება. პროგრესიული ნაკლი აშკარად სჩანს, მაგრამ, რა თქმა უნდა, მან ვერ დასძლია მოუსავლობა.

**პერსპექტივები.**

როგორია პერსპექტივები?

კარგ მოსავლიან ადგილებში სრულიად აშკარად განმეორდება იგივე სურათი, რაც ზამთრის ზოლში იყო: სადაც თესლის მარაგი იქნება უსათუოდ გაიზრდება საგაზაფხულო ზოლი. დამშეულ გუბერნიებში კი მდგომარეობა მეტად კრიტიკულია. აქედან უნდა დავასკვნათ რომ, თუ მომავალ წელიწადს მოუსავლობა რომელიმე სხვა რაიონში გამეორდა, ვოლგის გუბერნიები ვერ დაგვეხმარება არაჩვეულებრივი მოსავალიც რომ იქნეს, ამ გუბერნიებმა, თესლის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც მას აქვს და რომელსაც აძლევენ, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება თავისი თავი გაიტანოს. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, მომავალი წლისათვის გვიქადის ფრიად უნუგეშო პერსპექტივებს, თუ ამ თავითვე არ იქნა მიღებული სრულიად გადამჭრელი ზომები.

ეს პერსპექტივები მით უფრო მრისხანეა, რომ უკვე ეხლა არის ნიშნები მომავალი წლის მოუსავლობისა, რომელიც ისახება საშემოდგომო ნალექისა და შემოდგომის ტაროსის ცვლილების ცნობებში. ეს ცნობები განსაკუთრებითი დაზიანებას უქადის რუსეთის დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთის რაიონებს.. ამ გვარად, ჩვენ გვაქვს ნათელი სურათი დაქვეითების პროცესში მოქცეულ სასოფლო მეურნეობისა. სასოფლო მეურნეობა უარეს მდგომარეობაშია ვიდრე მრეწველობა. აქედან დასკვნა: თუ ამ საკითხს ეხლავე არ მივაქციეთ სათანადო ყურადღება, ჩვენ პირისპირ დავდგებით სასოფლო მეურნეობის კატასტროფის წინაშე.

**ჩვენი დასაყრდნობი ფუძე სოფელია.**

აგრარულ-ეკონომიურ საკითხთა სფეროში, რომელიც უკავშირდება ახალ ეკონოიურ პოლიტიკას, პირველ რიგში სდგას საკითხი მეურნეობის განვითარების საერთო მიმართულებისა. გლეხის მეურნეობის რომელი ტიპი—ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული,—უნდა ჩავთვალოთ ჩვენ ობიექტიურ აუცილებლად უახლოეს ხანაში? ჩემი აზრით, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას რომ ჩვენ საქმე გვექნება სასოფლო მეურნეობის განვითარების შესაძლებლობასთან მხოლოდ და მხოლოდ წვრილ ბურჟუაზიული ტიპით. მსხვილი კონცენტრაციის განვითარება წმინდა ეკონომიური თვალსაზრისით არ არის მოსალოდნელი სასოფლო მეურნეობის საერთოთ დაქვეითებისა, ჩვენი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სოციალური ბუნებისა, მიწის კერძოსაკუთრების უფლების გაუქმებისა და მრავალი სხვა მიზეზის გამო. ჩვენი კურსი უნდა დავამყაროთ გლეხის მეურნეობის სწრაფ განვითარებაზე, რომელიც გააფართოებს ბაზარს რუსეთის მსხვილი მრეწველობისთვის,—და შემდეგ კი მსხვილი მეურნეობის აღორძინებაზე, კოოპერაციის საშვალებით რომელიც ბოლოს წარმოშობს წარმოების სოვეტიზაციას, როდესაც ამ პროცესის სოციალური და ტექნიკური, პირობები გამოიჭედება მსხვილი ინდუსტრიის მიერ. ახალი ისე, როგორც ძველ ეკონომიური პოლიტიკის დროს ჩვენი კურსი უტრიალებს საშვალო შეძლების გლეხს, მაგრამ ჩვენს წინაშე სდგას საკითხი მცირე შეძლების გლეხობის შესახებ. საჭიროა მას ხელი შეუწყოთ, როგორც მეურნეს და დაუახლოვოთ იგი მშრომელი მეურნეობის დონეს. ეს უნდა განვახორციელოთ კოოპერაციის საშვალებით. ასეთი დახმარება გამოიწვევს სოფლად გადაჯგუფებას. მცირე შეძლების გლეხობა შეუერთდება ქალაქის მუშებს და კოოპერატიული ორგანიზაციების საშვალებით დარჩება თავის ფეხზე. ამ ჯგუფების საშვალებით ჩვენ შევქმნით სოფლად იმ წონასწორობას, რომელიც აუცილებელი პირობაა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის.

ეს მოგვცემს შეძლებას მოვაწესრიგოთ გლეხის მეურნეობა იმ ძირითად ნასკვებისაგან, რომელიც ჩვენ ხელში იქნება. რაა ეს ძირითადი ნასკვები? ეს არის უპირველესად ყოვლისა, მსხვილი, საბჭოთა და კოოპერატიული მეურნეობა, რომელიც შეკრულია განსაზღვრული საწარმოო გეგმით, რომელიც იმავე დროს ახორციელებს განსაზღვრულ სასარგებლო, სახალხო სამეურნეო ფუნქციას, და მახლობელ გლეხობას რაღაცას აწვდის, რაღაცას ასწავლის.

**მიწის საკითხი**

მიწის საკითხში უნდა აღვნიშნოთ რომ გლეხობა ორი მიმართულებით იწევს,—ეს არის მოხერხებული და მტკიცე მიწათსარგებლობა.

რა პოზიცია უნდა დავიჭიროთ ამ საკითხში? ამ ჟამად წამოყენებული დიდი კამათი სწარმოებს „ობშჩინისა“, „ხუტორისა“ და „ოტრუბის“ შესახებ. ჩემი აზრით და ყველა მიწის დარგში მომუშავე ამხანაგების თვალსაზრისით, ამ საკითხში ჩვენ უნდა დავიცვათ ნეიტრალიტეტი, ვინაიდან ჩვენთვის ერთნაირად კარგიც არის და ცუდიც მიწათსარგებლობის თვითეული ეგ მხარე. თუ ჩვენ ვდგევართ სამეურნეო ინიციატივის განთავისუფლების თვალსაზრისზე, მაშინ ჩვენ უნდა დავიჭიროთ პოზიცია მიწათსარგებლობის თავისუფალი არჩევისა, და გლეხს უნდა მივსცეთ უფლება თვითონ დამოუკიდებლად გადასწყვიტოს ეს საკითხი, ხოლო ჩვენ თვალყური უნდა ვადევნოთ სადაო კითხვების სწორ გადაჭრას, ამასთანავე, განსაზღვრულ კვალიფიციურ უმცირესობას უნდა მივსცეთ უფლება „ობშჩინიდან“ გამოსვლისა მაგ. „ობშჩინის წევრთა 1/5-ს, ხოლო გამოსვლა უნდა მოხდეს ვადის გასვლისას, რომელიც განსაზღვრულია სამჯერ გადიდებული სამი წლის თესვის ტრიალით ე. ი. 9 წლით.

შემდეგ სდგას საკითხი მიწათსარგებლობის სიმტკიცის შესახებ. ამ სიმტკიცის გარანტია არის ის რომ ხელახალი გაყოფის ვადა უნდა შეიზღუდოს. მეორეს მხრით მიწათ სარგებლობის სიმტკიცე შეიძლება დაცულ იქნეს ნათელი განზრახვით—კანონმდებლობითი წესით—ყველა იმ შემთხვევისა, როცა გლეხი ჰკარგავს მიწას. ამასთანავე ჩვენ სრულიად გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ მიწის ნაციონალიზაცია შეურყეველი რჩება, რადგან მიწის ნაციონალიზაცია არის რეჟიმი, რომელიც აუცილებელია საშუალო მშრომელი გლეხისათვის მისი გაუქმება ხელახლა შექმნიდა მსხვილ ბურჟუაზიულ ერთეულებს და ისევ აღადგენდა მემამულეებს. ეს ესმის თითოეულ გლეხს და ამიტომ მიწის ნაციონალიზაცია საშუალო გლეხის თვალსაზრისითაც არის საკითხის სწორი დაყენება და გადაჭრა. ამას პროლეტარიატი არ გაუშვებს თავისი ხელიდან და ჰქმნის რა მტკიცე მიწათ-სარგებლობას, არავითარ შემთხვევაში არ აღადგენს მიწათმფლობელობას, ასევეა საკითხი იჯარის შესახებ. ყოველგვარი გრძელვადიანი იჯარა ჩვენთვის მიუღებელია.

სათანადო ორგანიზაციების შემწეობით ჩვენ უნდა მოვახდინოთ ისეთი იჯარის ლეგალიზაცია, რომელიც აუცილებელია გლეხის ყოფა-ცხოვრებისათვის. დაქირავებული შრომის საკითხი უნდა გადაწყდეს აგრეთვე მხოლოდ და მხოლოდ გლეხის ყოფა-ცხოვრებასთან შეგუებულ ფორმაში.

**სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკითხში მთავარ ამოცანას შეადგენს მცირე შეძლების გლეხის ჩაბმა მუშაობაში. ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არის მხოლოდ კოოპერაცია საწარმოო და ისეთ დამოკიდებულებას აქვს მასთან ადგილი, რომ თითქოს ვაჭრობის საქმე არის მხოლოდ მომხმარებელი კოოპერაციის საქმე. ეს არის თეორიულად და პრაქტიკულად სრულიად შემცდარი გაგება საკითხისა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არის უპირველესად ყოვლისა საქონელ-მწარმოებელი კოოპერაცია და გლეხი თავის მუშაობას ყოველთვის იწყებს ბაზრისა და კრედიტის კითხვებიდან. თუ ჩვენ აქედან არ დავიწყეთ მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციიდან არაფერი არ გამოვა,

ჩვენ ყოველი მიზეზის გარეშე უნდა მივსცეთ კოოპერაციას ახალი სოციალური ელფერი და რათაც უნდა დაგვიჯდეს უნდა გამოვიწვიოთ მოქმედების მცირე შეძლების გლეხობა. ამის შესაძლებლობა არის. ეკონომიური პოლიტიკის შეცვლა უკვე ეხლავე ახდენს გარდატეხას გლეხობაში. აქ ძლიერდება მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ, ჩვენი პოლიტიკის სასარგებლოთ და საჭიროა ეგ მოძრაობა გამოვიყენოთ გონიერათ.

**კონკრეტი ღონისძიებანი.**

დასასრულ მე უნდა აღვნიშნო, რა მნიშვნელოვანი და კონკრეტი ღონისძიებანი სდგას ჩვენს წინაშე. საერთო ღონისძიებათა შორის მსურდა ხაზი გამესვა შემდეგისათვის: იმის განხორციელებისათვის, რაც ზემოდ ითქვა აუცილებელია გრძელვადიანი კრედიტის ორგანიზაცია, სადაც საჭირო იქნება დიდი ფონდი მცირე შეძლების გლეხობის დასახმარებლად მათი კოოპერაციისათვის. მეორეს მხრით საჭიროა სასოფლო მეურნეობის მელიორაციის ფონდი, და აგრეთვე უნდა გვახსოვდეს რომ მომავალ გაზაფხულზე ჩვენ უნდა შეუდგეთ უდიდეს სასოფლო-სამეურნეო კომპანიას. ეგ კომპანია იმდენათ უფრო ფართო უნდა იქნეს რამდენადაც მწვავე იქნება კრიზისი.

რათა შემოდგომისათვის დაითესოს მიწის 44 პროცენტი ქერითა და სხვ. ეს ნიშნავს იმას, რომ 44 პროც. გადურჩება გვალვას. ჩვენ უნდა მივაწოდოთ გლეხობას თესლი და ყოველი ღონე ვიხმაროთ რომ სრულიად დაითესოს ვოლგის გუბერნიები და ჩრდილო-აღმოსავლეთის განაპირა კუთხე. ჩვენ უნდა შევსძლოთ სასოფლო მეურნეობის კოლექტიური გაფართოება და მთელი ძალღონე, მაქსიმალური ენერგია. ყოველი საშუალება უნდა მოვახმაროთ მთელი სასოფლო მეურნეობის შემდეგ განვითარებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

დაწყებული ახლო გაზაფხულიდან და ზამთრის განმავლობაში საკითხი სასოფლო მეურნეობის და სოფლად მუშაობისა ჩვენ გვერდით, როგორც თანასწორი, უნდა დაუყენოთ მრეწველობის საკითხს.

ასეთი ყურადღება არის აუცილებელი. თუ ეს არ გავიგეთ და არ გავაკეთეთ ის, რაც გასაკეთებელია ჩვენ ნიადაგი გამოგვეცლება ფეხქვეშ.

# კაპიტალიზმის სამეფოებში

### იტალია

**კომუნისტების დევნა**

[illegible]

# ანტანტა და გერმანია

[illegible]

# აჭარის საბჭოების ყრილობა

**მესამე დღე**

(**საღამოს სხდომა**)

[illegible]

წავლიდენ თუ როგორ უნდა ემსახურათ მეფის ხელისუფლებისათვის.

ასე გექცეოდათ თქვენ ოსმალოებიც. ისინი თქვენგან და თქვენი ბავშვებიდან ცდილობდენ ოსმალების შექმნას.

ანალოგიური მოვლენა იყო მენშევიკების დროსაც.

ეხლა, ამხანაგებო, თქვენ სრულიად თავისუფალი ხართ. თქვენი ბედი თქვენივე საკუთარ ხელშია.

თქვენი ინტერესების დამცველი საბჭოთა ხელისუფლება არ დაუშვებს, რომ თავისუფალი მშრომელი აჭარა მოცული იყოს სიბნელით.

თქვენ ბეგებს სიბნელეში ყავდით და ეს გასაგებია, ამით ისინი თქვენ გხდიდენ ექსპლოატაციის ობიექტად.

თქვენ ეწინაამდეგებოდით ნაციონალისტურ შკოლებს, მაგრამ შკოლა, რომელიც მიზნად დაისახავს მხოლოდ განათლებას, თქვენთვის სავსებით მისაღებია.

ენის შესახებ თქვენ უკვე დაადგინეთ ღარიბთა ყრილობაზე და საბჭოთა ხელისუფლება გაძლევთ თქვენ სრულ უფლებას მიიღოთ სწავლა მშობლიურ ენაზე

ჩვენ არ გვინდა თქვენ გადაგაქციოთ ქართველებათ, ოსმალებათ ან რუსებათ.

ჩვენ გაძლევთ თქვენ ენის ამორჩევის სრულ უფლებას, ოღონდ კი თქვენი ბავშვები სწავლობდენ და იყვენ წერა-კითხვის მცოდნეები.

საბჭოთა ხელისუფლებამ თქვენი ბედი თქვენვე ჩაგაბარათ ხელში და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ სათანადოთ დააფასებთ ამას.

მე მინდა იმედი მქონდეს, რომ თქვენ ამიერიდან ყოველი გზით დაგვეხმარებით ჩვენ აჭარის ყოველ კუთხეში სკოლების გახსნის საქმეში და სოციალისტურ სამშობლოს ყოველმხრივ ასაღორძინებლად საერთო განათლების საქმეს დააყენებთ მტკიცე ნიადაგზე (ტაში).

სახალხო განათლების კომისარიატის მოქმედების შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. **გვახარია:** სახალხო განათლების კომისარიატს აქვს სამი განყოფილება: 1) სკოლის ჰასაკამდი განათლების განყოფილება, 2) სასკოლო განათლების განყოფილება და 3) სკოლის გარეშე განათლების განყოფილება. სკოლამდი მისაღები განათლება ეხება მცირე წლოვან ბავშვებს. ეს საქმე ძალიან ძნელია. ჩვენ არ გვყავდა ამისათვის მომზადებული პედაგოგები და ამიტომ გავხსენით მოკლე ვადიანი სამოსწავლებლო კურსები.

ჩვენ გავხსენით აგრეთვე საბავშვო ბაღები ქობულეთში და აქ, ბათომში, სადაც ინახავენ განსაკუთრებით ღარიბ გლეხების ბავშვებს.

სკოლის განათლების განყოფილებამ გაატარა სკოლების რეფორმები.

ამ განყოფილებაში ჩვენ ბევრი გავაკეთეთ. ძველი, ჩინოვნიკური სკოლიდან შევქმენით ახალი შრომის სკოლა, სადაც საერთო განათლებასთან ერთად, მოწაფე იღებს პრაქტიკულ ცოდნასაც.

სკოლის გარეშე განათლების განყოფილებამ პროფსაბჭოსთან ერთად მოაწყვეს პროფესიონალური კურსები და გახსნეს სახელოსნოები.

პოლიტიკურ განათლების განყოფილების მოქმედების შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. **ლიფშიცი**, რომელიც აღნიშნავს ამ განყოფილების პოლიტიკურ და აღმზრდელობით მნიშვნელობას. პოლიტიკურ განათლების განყოფილებამ გახსნა აგიტ—პუნქტები, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, კლუბები და სხვ. კულტურულ—განმანათლებელი დაწესებულებები

**დაუდ ეფენდი დიასამიძე.** აღნიშნავს, რომ აჭარის ღარიბი მცხოვრებლები ყოველთვის ისწრაფოდენ განათლებისაკენ, მაგრამ აქამდი მათ არ ჰქონდათ ამისათვის შესაძლებლობა.

აჭარა უნდა დაიფაროს სკოლების ქსელით, მაგრამ ეს სკოლები, გარდა საერთო განათლებისა, უნდა იძლეოდეს ტეხნიკურ და სასოფლო-სამეურნეო ცოდნასაც.

ერთხმად იღებენ რეზოლიუციას, რომელიც ადასტურებს სახალხო განათლების კომისარიატის ნაბიჯებს. ყრილობა ავალებს სახ. განათლების კომისარიატს მიიღოს სასწრაფო ზომები აჭარაში სკოლების გასახსნელად.

#### კოოპერაცია.

კოოპერაციის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. **საბაშვილი.** ამხანაგებო, მე გავაკეთებ მოხსენებას ეკონომიური ცხოვრების იმ დარგზე, რომელსაც ჰქვია კოოპერაცია.

კოოპერაციას დიდი ისტორია აქვს და მისი მნიშვნელობა დაუფასებელია.

უკანასკნელ ხანებში საერთაშორისო ეკონომიურ ცხოვრებაში კოოპერაცია შეიქნა დიდ ფაქტორათ. თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ სახელმწიფოს, ვერც ერთ ქალაქს და სოფელს ევროპაში, სადაც არ იყოს კოოპერატივი.

კოოპერაციის საშუალებით წარმოებს ეკონომიური მნიშვნელობის დიდი ოპერაციები.

აჭარაში, სადაც სასოფლო-მეურნეობა ვერ გაცილებია პატრიარქალურ—ტრადიციულ საფეხურს, კოოპერაცია ითამაშებს უდიდეს როლს.

კოოპერაციის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია კონკურენცია გაუწიოთ კერძო ვაჭრობას და დავამყაროთ კავშირი სასოფლო-მეურნეობასა და ქალაქის მრეწველობას შორის.

ამის გარდა კოოპერაცია ითვლება საუკეთესო გამნაწილებელ აპარატად იმ საგნებისა, რომლებსაც სოფელი იღებს პროდუქტების მაგივრად.

ეს აზრი ცხადათ გაატარა რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-10 ყრილობამ.

საჭიროა სასწრაფოდ შეუდგეთ კოოპერატივების ორგანიზაციას აჭარის ყველა პუნქტებში.

თქვენ თითონ უნდა მიიღოთ აქტიური მონაწილეობა კოოპერატივების მოწყობაში.

ერთხმად იღებენ რეზოლიუციას; რომელიც იწონებს კოოპერაციის ორგანიზაციების გეგმას აჭარაში.

# ქრონიკა

✦ **სტუდენტთა დღე** ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭოს და სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილების თანახმად, მიმდინარე წლის 26 იანვარს ეწყობა ქართველ სტუდენტთა ტრადიციული დღე ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა ქალაქებსა და დაბებში. პროვინციაში მყოფ ამხ. სტუდენტებს ევალებათ ადგილობრივ განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით და მათი დახმარებით შეადგინონ დღის მომწყობი კომისია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დღის მოწყობასა და მისი ღირსეულად ჩატარებაში. საჭირო დირექტივები ეგზავნება ადგილობრივ განათლების განყოფილებებს საქმის მდგომარეობა და შედეგები უნდა აცნობონ მისამართით ტფილისი, სოლოლაკის ქ. № 2. სტუდენტთა დღის მომწყობ ცენტრალურ კომისიას.

✦ **ფინანსთა სახალხო კომისსარიატის შტატი.** ფინანსთა სახალხო კომისარიატის ახალი შტატი, რომელშიდაც შედის აგრედვე სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიციის შტატი, უდრის 1000 კაცს.

✦ **სატრანსპორტო კომისია.** თბილისიდან როსტოვში და ტუაპსეში გაემგზავრა ინჟენერ ფორტუნოვის მეთაურობით 8 კაცისაგან შემდგარი სატრანსპორტო კომისია.

✦ **ახალი გაზეთი თათრულ ენაზე.** გამოვიდა თათრულ ენაზე „ახალი აზრი“-ს № 1, რომელიც შინაარსიანად და საინტერესოდაა შედგენილი. გაზეთი არის ორგანო ს. კ. პ. ც. კომიტეტისა და ჯერჯერობით კვირაში ორჯერ გამოდის.

✦ **ჩქარი მატარებელი.** ჩქარ მატარებლებზე № 1 და 2 ბილეთები პირველ რიგში მიეცემათ შორს მიმავალ მგზავრებს და მხოლოდ თავისუფალ ადგილების დარჩენის შემთხვევაში ეძლევათ ბაქოდან არა უახლოეს სად. განჯით და ბათუმიდგან არა უახლოეს სად. ხაშურისა.

✦ **ჩქარი მატარებლით ფოსტის გადატანა.** რკინის გზის სამმართველოს საფოსტო უწყებასთან შეთანხმებით ჩქარ მატარებელში № 5 და 6 დათმობილია ერთი კუპე მსუბუქ ფოსტის და მის წამლების მოსათავსებლად, საბარგო ვაგონით კი ნებადართულია 25 ფუთ ფოსტის გადატანა.

✦ **მატარებელი ჯულფისაკენ.** საფოსტო მატარებელი № 13 და 16, რომელიც გადიოდა ერევნიდან ჯულფაში ორშაბათობით და ხუთშაბათობით, 15 იანვრიდან ივლის ყოველ დღე

# ბრძოლა ეპიდემიასთან

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ მოწვეულმა საგანგებო ეპიდემიურმა კომისიამ გამოყო განსაკუთრებული სანიტარული ხუთეული, რომელსაც დაევალა რესპუბლიკაში ეპიდემიის საწინააღმდეგო ბრძოლის საქმის პრაქტიკული მხარის მოწესრიგება.

საქართველოს რევკომმა ეპიდემიასთან საბრძოლველად ჯერ გადასდო 550 მილიონი მანეთი.

პარტახტიან სახადით ავათმყოფთათვის ქალაქში იხსნება ბარაკი 200 საწოლით; ყვავილიანებისათვის კი—80 საწოლით.

მუშაობის გასაძლიერებლად სწარმოებს ქალაქის სადეზინფექციო კამერის კაპიტალური შეკეთება.

მიღებულია სანიტარული ზომები მუშათა სახლებში, საპატიმროებში, რესპუბლიკის რკინის გზის მთავარ სადგურებში, თეატრებში, კინოებში, და ისეთ ადგილებში სადაც ხალხი თავს იყრის.

--ჯანმრთელობის კომისარიატის ლაბორატორია მუშაობს ეპიდემიის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის.

—ეწყობა სამაზრო კამპანია, რომელიც აუცრის რესპუბლიკის მოსახლეობას ყვავილს.

განზრახულია მოაწყონ თბილისის ულარიბეს მოსახლეობის დოვლათის კვირა კომუნალურ მეურნეობის აბანოების გამოყენებით, რის შესახებაც აღიძრა შუამდგომლობა კომუნალურ განყოფილების წინაშე.

—გაძლიერებულია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, ქალაქის და რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილებათა სანიტარულ განმანათლებელი განყოფილებების მუშაობა.

—რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ეწყობა საგანგებო სანიტარული სამეულები ეპიდემიის საწინააღმდეგო ბრძოლის საწარმოებლად.

#### ყვავილი

(მოქალაქეთა საყურადღებოდ)

ამ ჟამად თბილისში თავი იჩინა ყვავილმა და ავადგახდომის შემთხვევები მატულობს. თუ ასეთი მოვლენა გაგრძელდა და არ მივაქციეთ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება, ყვავილი მიიღებს ეპიდემიურ ხასიათს და შეიძლება იმსხვერპლოს ბევრი ჩვენგანი. ყველა ზომებთან შედარებით ჩვენ გვაქვს გამოცდილი, ადვილი და უტყუარი ზომა ეს მის წინააღმდეგ აცრა. კიდევ 1879 წელში გერმანიის ექიმთა ყრილობაზე გამოტანილიყო რეზოლიუცია: ყვავილის წინააღმდეგ აცრა წარმოადგენს გამოჩენილ და საფუძვლიან პროფილაკტიურ ზომას, რომელიც დამყარებული მეცნიერებაზედ და შეიძლება ვიცნოთ ყველაზედ უფრო გამოჩენილ პროფილაკტიურ ზომათ, რაც კი აქვთ ხელთ ჯანმრთელობის დამცველ უწყებას; თქვენ დიდი ხანია იცით რა არის აცრა. ჯერ კიდევ ბავშობითვე აგიცრიათ და იცით, რომ ეს გიფარავთ ყვავილიდგან. ვისაც აცრილი აქვს, მათ უმეტესათ ყვავილი აღარ ემართებათ 7—8 წლის განმავლობაში, რის შემდეგ საჭიროა უეჭველად განმეორება აცრისა, რადგან ის ამ ხანში ჰკარგავს თავის ძალას. თუ კი არის მცირედი შემთხვევანი, რომ აცრილები გახდებიან ავად, უკანასკნელნი იხდიან ყვავილს ფეხზედ, ძლიერ ადვილად და შეუმჩნევლად. ვისაც კი აცრილი არ აქვს, ის თუ სიკვდილს გადაურჩა, შეიძლება დარჩეს დამახინჯებული, დაჰკარგოს მხედველობა და სხვა.

ყვავილის წინააღმდეგ აცრის სარგებლობა დიდი ხანია ცნობილია, წარსულ საუკუნოებში აღწერილი ყვავილის ეპიდემიის ისტორია ცხადათ გვიჩვენებს, თუ რა დიდი იყო მისგან მსხვერპლი.

ეს სენი ერთნაირად ემართება დიდს და პატარას. ერთხელ გადატანილი ყვავილი იფარავს ადამიანს მეორეჯერ ავად გახდომისაგან [illegible] გავლენა, ახდენს აცრა, რომელიც ბოლო ხანებში შეამცირა ყვავილის გავრცელება და მოსპო ეპიდემიები ბევრს ქვეყნებში, სადაც აცრის საქმე კარგად არის დაყენებული. სამაგალითოა სტატისტიკა გერმანიის და ავსტრიის ლაშქრისა, როდესაც პირველები ატარებდნენ აცრას, მეორენი კი არა: გერმანიის ლაშქარში 1875 წ. 1892 წლამდე ავად გახდა 13, მოკვდა 1, აუცრელი ავსტრიის ლაშქარში კი 1875 წ.—1887 წლამდე ავად გახდა 9864, მოკვდა 596. როდესაც ავსტრიის ლაშქარში შემოღებულ იქნა აცრა:

1886—1893 წლამდე ავად გახდა აუცრელებში 1000 კაცი, მოკვდა 44. კაცობრიობა თავიდანვე დაჟინებით ეძიებდა ყვავილის წინააღმდეგ ბრძოლაში აღმოეჩინა რაიმე საშუალება. ბევრი დაკვირვებანი და გამოცდები წარმოებული მეტადრე მე-18 საუკუნიდან შეიქნა საფუძველი დღევანდელი აცრისა. დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ დარგში ჯენერს, რომელმაც 1796 წელში 20 წლის მუშაობის შემდეგ შეიმუშავა ისეთი შრატი, რომლის აცრა ჰქმნიდა ადამიანს უზრუნველყოფილს ყვავილით ავად გახდომიდან. ამ ხნის განმავლობაში აცრამ დაიმსახურა ჯეროვანი ადგილი მეცნიერებაში, მოსპო დიდი ეპიდემიები და გაანთავისუფლა კაცობრიობა ზედმეტ მსხვერპლიდან დღეს ყვავილის წინააღმდეგ აცრას ყველა იცნობს. ეს ძლიერ ადვილი, უმტკივნეულო და უზიანო ზომაა. არ თხოულობს ბევრ დროს, განსაკუთრებულ მოვლას და სხვა. ამისათვის უეჭველად ვისაც არ აგიცრიათ უნდა აიცრათ, რომ თავიდან აიცდინოთ ყვავილის დამართება, რითაც მასთანვე ხელს შეუშლის მის გავრცელებას და ააცდენთ მას თქვენს მახლობლებსაც. ქალაქის ყველა სამკურნალოებში სწარმოებს უფასოდ ყოველ დღე აცრა დილაობით.

1) ცენტრალური სამკურნალო—პუშკინის ქ. № 10 (მე-3 უბანი).

2) კუკიის - ჩერქეზოვის ქ. № 38 (მე-9 უბანი).

3) დიდუბის—დიდუბის ქ. № 18 (მე-12 უბანი).

4) ნაძალადევის—ჩერქეზოვის ქ. № 38 (მე-11 უბანი).

5) ვერის—ოლღას ქ. № 35 (1-ლი უბანი).

6) საბურთალოს—ყოფილი მე-13 კომისარიატის ბინა.

7) ხარფუხის—სუმბათოვის ქ. № 13 (მე-5 უბანი).

8) ავლაბრის—კახეთის ქ. № 2, მე-7 უბანი.

მიმართეთ აღნიშნულ სამკურნალოებს, ეცადეთ მოკლე ხანში ყველამ აიცრათ და ხელი შეუწყოთ ყვავილთან ბრძოლის საქმეს, რომ დაუკარგოთ მას ნიადაგი გავრცელებისა და ხალხი ვიხსნათ ზედმეტ მსხვერპლიდან.

# პარტიული ცხოვრება

### საორგანიზაციო მუშაობა ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციაში.

(**ს. კ. პ. თბ. კ. საორგანიზაციო განყოფილების მოქმედება დეკემბერში**).

დეკემბრის თვეში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული თბილისის ორგანიზაციის საორგანიზაციო მხარის განმტკიცებას.

ამ საკითხში საორგანიზაციო განყოფილება წააწყდა ზოგიერთ ტენდენციებს რაიკომებისას, რომელთაც ამა თუ იმ მოსაზრებით ზოგჯერ არ სურდათ თავის აპარატის გარდაქმნა მთლიანი გეგმის მიხედვით.

#### სადელეგატო კრებები.

პარტიულ ორგანიზაციების დატვირთვა ყოველგვარი კრებებით, სხდომებით, თათბირებით და სხვა ყოველთვის იყო საგრძნობი, განსაკუთრებით კი ბოლო ხანებში, და ეს საკითხი, რომელიც ბევრი ხანია მომწიფდა, გადაჭრილ იქნა რეგლამენტის დაწესებით თბილისის ორგანიზაციის მუშაობისათვის. ამ რეგლამენტის ერთ მთავარ მუხლად შეიძლება ჩაითვალოს საერთო კრებების რიცხვის შემცირება, სადელეგატო კრებების ხარჯზე. ეს ზომა გამოწვეული იყო საერთო კრებების უხირხულობით, რომელნიც გარდაიქცნენ ზოგიერთ რაიონში თავისებურ სავალდებულო ბეგარად პარტიის წევრებისათვის სხვა და სხვა მოხსენებების მოსასმენად, რომელნიც არავითარ სჯა-ბაასს არ იწვევდენ და პარტიის წევრების თვითმოქმედებას არ აღვიძებდნენ. სადელეგატო კრებებმა როგორც ეს დაგვანახა გამოცდილებამ, ყველა რაიონში, მოგვცა შესაძლებლობა აგვეცილებინა ეს „კაზიონშჩინა“ და პარტიის ყველა წევრი ჩაგვება აქტიურ თვითმოქმედებითი მუშაობაში. წმინდა პრაქტიკული საქმიანი მოსაზრებებით დაწესებულ იქნა ერთი შემადგენლობის დელეგატთა კრებების მოქმედება ორი თვის განმავლობაში, ეს კრებები, როგორც საერთო რაიონულ კრებებიც, იწვევიან თვეში ორჯერ მაინც.

#### მუშათა აპარატების დაყენება.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ცენტრის და რაიკომების ტეხნიკური აპარატების დაყენებას. უჯრედების გამოკვლევამ და რაიკომების მუშათა აპარატების რევიზიამ გამოარკვია მუშაობის ერთგვარი უსისტემობა, რაც აიხსნება განსაზღრული მტკიცე ინსტრუქციების უქონლობით და ტეხნიკური მუშაკების შემადგენლობის უსწორო შერჩევით. ცირკულიარული წერილით ეს საკითხი დაისვა რაიკომების განსახილველად და გადაიჭრა ზოგიერთი ორგანიზატორების გამოწვევის, რაიკომის მუშათა აპარატების რეორგანიზაციის და მუშაობის მთლიანი სისტემატიური გეგმის შედგენის სახით. რაიკომების ხელ-ახალი არჩევნებს და საქმიანი მუშაკების მნიშვნელოვანი რაოდენობის შესვლას ახალი რაიკომების შემადგენლობაში აგრედვე მოყვა რაიკომების მუშაობის გაჯანსაღება. უჯრედების გამოკვლევის დროს გამოირკვა უჯრედების მუშათა აპარატების სისუსტე. საქმე ის არის, რომ არა ყველა უჯრედის პასუხისმგებელი ამხანაგი, დატვირთული სხვა სამუშაოთი, ახერხებდა წმინდა ტეხნიკურ სამუშაოს წარმოებას და ეს მავნებლად მოქმედებდა აღრიცხვის, განაწილების და ინფორმაციის საქმეზე.

ამ მხარის გასამტკიცებლად მოვიწვიეთ რაიკომების ორგანიზაციული და აღმრიცხავ ნაწილების გამგეობის თათბირი, რომელზედაც გამოითქვა სურვილი ზოგიერთ უჯრედში ტეხნიკურ მდივნების ინსტიტუტის დაარსებისა; პრაქტიკული განსახიერება მიენდო უჯრედების მდივნებს, რომლებსაც უნდა აეყვანათ უჯრედებიდან ამ მუშაობისათვის უფრო მომზადებული ამხანაგები.

ორივე ამ ზომამ შესამჩნევად გამოაცხოველეს მუშაობა, როგორც უჯრედებში, ისე ცენტრებში, და უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ შედეგები მოგვცემენ საშუალებას გადავიდეთ უფრო გეგმა შეწონილ და მწყობრ მუშაობაზე.

ზოგიერთი ცვლილება შევიტანეთ ორგანიზატორების მუშაობის სისტემაში, რომელნიც მუშაობდნენ უგეგმოდ და ხშირად ერთდროულად ასრულებდნენ ერთ და იმავე სამუშაოს და უყურადღებოდ სტოვებდნენ პარტიულ ორგანიზაციულ მუშაობის არსებითი მხარეს. ეს ცვლილება შეეხო ორგანიზაციული და სააგიტაციო ფუნქციების განაწილებას ორგანიზაციებ შორის.

**უჯრედების გამოკვლევა.**

ორგანიზაციის განმტკიცებისათვის პირველი ზომა იყო უჯრედების გამოკვლევა. ამ მიზნით ორგგანყოფილებამ გაიწვია მთელი რიგი პასუხისმგებელ ამხანაგებისა უჯრედებზე მიჩენილებისაგან, რომლებსაც დაავალა ერთი კვირის განმავლობაში გამოეკვლიათ მინდობილი უჯრედები.

კერძოდ გამოკვლევის დროს გამოირკვა უჯრედების ერთგვარი უდისციპლინობა განსაკუთრებით მე-4 რაიონში, რაც ნაწილობრივ აიხსნება დისციპლინის დამრღვევ ამხანაგების დაუსჯელობით.

უმრავლეს უჯრედებში რეგულიარული მეცადინეობა არ წარმოებდა; მუშათა უჯრედებში ეს აიხსნება მომზადებულ ამხანაგების უყოლობით ან მიჩენილ ხელმძღვანელების მიერ თავიანთ მოვალეობათა აუსრულებლობით, ეს ხელმძღვანელები უჯრედებს შემთხვევით ეწვეოდნენ და სისტემატიურ მეცადინეობას არ აწარმოებდნენ. უჯრედებში, სადაც სჭარბობდა ინტელიგენტური შემადგენლობა, მეცადინეობა არ წარმოებდა იმიტომ, რომ ყველა ისინი თვლიდნენ თავს საკმაოდ მომზადებულად. და ეს იყო მიზეზი, რომ უჯრედებში თითქმის ყოველთვის ირჩეოდა ადგილობრივი, სამეურნეო ხასიათის საკითხები.

რაიონის არც ერთი უჯრედი არ მართავდა საჯარო კრებებს და არ აწარმოებდა აქტიურ მუშაობას უპარტიოთა შორის და ჩაკეტილი იყო თავის ვიწრო წრეში. მაშინ როცა საბჭოთა არჩევნებმა გვიჩვენეს, რომ უპარტიოთა შორის შესამჩნევი იყო აშკარა თანაგრძნობა პარტიისადმი და სურვილი მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გამოკვლევამ დაგვანახა და დაამტკიცა აუცილებლობა უჯრედების დაშლისა ზოგიერთ დაწესებულებაში და მათი შეერთებისა მუშათა უჯრედებთან, უკანასკნელებში მუშაობის გასაძლიერებლად.

დანარჩენ რაიონში (1, 2, 3, საქმე გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

აიხსნება ეს რაიონების უჯრედების მუშური შემადგენლობით და რაიონში.

საქმის რიგიანი დაყენებით უცნაურად მოგვეჩვენება, მაგრამ ეს რაიონები, უფრო ღარიბნი მომზადებული მუშაკებით, გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევენ პარტიის წევრთა აღზრდას, ვინემ მდიდარი მე 4 რაიონი, ყოველ უჯრედში წარმოებდა მეცადინეობა პარტიის პროგრამის, საბჭოთა კონსტიტუციის შესასწავლად, და ეს კეთდებოდა არა მიჩენილ ამხანაგების, არამედ რაიონის პასუხისმგებელ მუშაკების მეცადინეობით. პირველი რაიონის 12 უჯრედის საერთო რიცხვიდან მხოლოდ ორმა ვერ გამოიჩინეს განსაკუთრებული ინტენსიური მუშაობა და არ აწარმოებდნენ სისტემატიურ მეცადინეობას. პასუხისმგებელ ამხანაგების მიჩენის შემდეგ ამ უჯრედებში მუშაობა შესამჩნევად გამოცოცხლდა.

მეორე რაიონში (2) უჯრედების მუშაობის ერთგვარი შენელება აიხსნება პარტიის წმენდით და სხვა და სხვა კამპანიებით.

როგორც ერთი სასიამოვნო მოვლენათაგანი, უნდა აღინიშნოს უჯრედების საჯარო კრებების სისტემა, რომლებსაც ხალისით ესწრებოდნენ უპარტიო მუშები. უფრო სათანადო სიმაღლეზე დგანან მე-3 რაიონის უჯრედები, რომელნიც აწარმოებდნენ სისტემატიურ მეცადინეობას პარტიის პროგრამის შესასწავლად, მართავდნენ უჯრედების საჯარო სხდომებს და სარგებლობდნენ უპარტიო მასსების უდიდესი ნდობით. მთელი სამეურნეო მუშაობის შესრულება წარმოებებში აწვებოდა პარტიულ ორგანიზაციას რამდენიმედ უფრო ცუდად იყო დაყენებული საქმის ტექნიკური ორგანიზაცია, მაგრამ ეს აიხსნებოდა რაიონის მიერ შესრულებულ ამოცანების დიდი რაოდენობით.

როგორც საერთო მოვლენა ყველა რაიონში, შეიძლება აღინიშნოს მიჩენილ ამხანაგების ფრიად გულგრილი მოპყრობა თავიანთი მოვალეობისადმი, რაც გარკვეულად უთხრიდა ძირს პარტიულ დისციპლინას.

საერთოდ და მთლიანად უჯრედების გამოკვლევამ მიაღწია თავის მიზანს, და თუ პარტიის გაწმენდამ გაძევა ჩვენი რიგებიდან უვარგისი ელემენტი, უჯრედების გამოკვლევამ წარმართა საქმე განსაზღვრული სისტემით და ისინი მასსებს დაუახლოვა.

**ს. კ. პ. თბ. კ. ორგგანყოფილება.**

---

## ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის მუშაობა. საორგანიზაციო განყოფილება.

ეს განყოფილება მოეწყო კომიტეტის ყველა სხვა განყოფილებებზე გვიან. მაზრის უჯრედებში სრული ქაოსი სუფევდა, არ გვყავდა გამოცდილი ორგანიზატორები და ინსტრუქტორები, რის გამო განყოფილების გამგეს უხდებოდა მოგზაურობა მაზრაში და მუშაობის მოგვარება. მაზრა გაყოფილია 6 რაიონად, მაგრამ მათში სამუშაოდ გვაკლდა საკმაოდ მომზადებული მუშაკები, ამიტომ გავხსენით აგიტგანყოფილებასთან ერთად, მოკლე ვადიანი პარტიული კურსები. კურსებმა მოგვცეს 12 ამხანაგი, რომლებმაც სკოლა კარგად განვლეს. ეს ამხანაგები დაიგზავნენ მაზრებში რაიკომების მდივნების და ორგანიზატორების სახით. მუშაობა ეხლა მოგვარებულია, მაგრამ მაინც ამ ჟამადაც საგრძნობია პარტიულ მუშაკების ნაკლებობა.

**საინფორმაციო ქვეგანყოფილება.**

რეგულიარულად იგზავნება ანგარიშები და სხვა ინფორმაცია ც. კომიტეტში შედგენილია რამოდენიმე დიაგრამმა.

**სტატისტიკური მაგიდა.**

ამუშავებს ყველა მასალას, რომელიც შემოდის განყოფილებაში, შეადგინა რამოდენიმე სტატისტიკური ცხრილი და სტატ. ანგარიში, რომლებმაც შემდეგში გაუადვილეს მუშაობა პარტიის გამწმენდ კომისიას.

**აღმრიცხავი მაგიდა.**

პარტიულ ძალების მოძრაობა გამოიხატა: ც. კომიტეტიდან გამოგზავნილია 12 ამხ., სამაზრო კ. დან ცეკაში 8 ამხ., პარტიულ მუშაობაზე გაიგზავნა 25 ამხ., საბჭოთა სამუშაოზე 112 ამხ., კოოპერაციაში 3 ამხ. სამაზრო პროფბიუროში 7 ამხ.

---

## მისალმება ბათუმის პარტკონფერენციისაგან

### ამხ. მ. ცხაკაიას.

ბათომის მეორე საოლქო პარტკონფერენცია მხურვალედ გესალმებათ თქვენ, პროლეტარულ რევოლიუციის ვეტერანს და ჭაღარა კავკასიის მუშებისა და გლეხების ბელადს, ყველა ქვეყნების სოციალ გამცემლების, კაპიტალის ლაქიების და მტრების სავალალოდ. ამიერ კავკასიის ყველა პროლეტარების მჭიდრო შეკავშირებით, მასების თვით შემოქმედებით, მათი ნებისყოფის გამომხატველი კომუნისტური პარტია თავის გამოცდილ ბელადების ხელმძღვანელობით წაიყვანს ამიერ-კავკასიას ეკონომიურ აღორძინებისაკენ და კომუნის მზე გაანათებს მთელ მსოფლიოს.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს მიხა ცხაკაიას!

### ამხ. ფ. მახარაძეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ბათომის მეორე საოლქო კონფერენცია გიგზავნით თქვენ გულმხურვალე სალამს, როგორც საქართველოს კომუნისტურ პარტიის მეთაურს და გამოსთქვამს რწმენას, რომ თქვენი მოხერხებული ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა პარტია, მჭიდრო შეკავშირებით და შემოქმედებითი თვითმოქმედებით გაუკაფავს გზას ეკონომიურ აღორძინებას კომუნიზმის გასამარჯვებლად.

**პარტკონფერენციის პრეზიდიუმი.**

# წარმოებითი პროფკავშირებში

## სოციალური დაზღვევა

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის 11 იანვრის სხდომაზე პრინციპიალურად მიღებულ იქნა დებულება იმ პირთა დაზღვევის შ სახებ, რომლებიც სცხოვრობენ თავიანთ შრომის გაქირავებით.

სოციალური დაზღვევა შემოღებულ უნდა იქნას ყოველ იმ შემთხვევისათვის, როდესაც მუშა კარგავს შრომის უნარს დროებით ან სამუდამოდ აგრეთვე უმუშევრობის ან მშობიარობის შემთხვევებში. დაზღვეულ უნდა იქნან ყველა გამოუკლებლივ, რომლებიც დაქირავებული არიან როგორც სახელმწიფო, საზოგადო, კოოპერატიულ, საკონცესიო და კერძო წარმოებებში, დაწესებულებებში და მეურნეობებში. აგრეთვე კერძო პირებთან. ყველა ამ ხარისხის მუშები დაზღვეულ უნდა იქნენ დღიდან მისი სამუშაოზე დაშვებისა, მიუხედავად სამუშაოს ხასიათისა ხანგრძლივობისა.

დებულება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც გაწვეული არიან მობილიზაციით ურმის ან შრომის ბეგარის მოსახდელად.

დაზღვევა დაზღვეულს ზემო აღნიშნულ შემთხვევებში უზრუნველ ყოფს საექიმო დახმარებით (საექიმო დახმარება ეძლევათ აგრეთვე მათ ოჯახის წევრებსაც) და ფულის მიცემით ერთდროულ დახმარების ან პენსიის სახით.

სოციალური დაზღვევა, საექიმო დახმარების და წამლების მიცემის სფეროში, ხორციელდება ჯანმრთელობის კომისსარიატის და მის ადგილობრივ ორგანოების მიერ. როგორც ჯანმრთელობის და სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატებში, აგრეთვე მათ ადგილობრივ ორგანოებში, დაზღვევის საქმის მიზანშეწონილად დაყენებისათვის არსდება მათთან სპეციალური ქვე განყოფილებები. ამ ქვე განყოფილებებს ხელმძღვანელობენ მუშათა სექციები. სამრეწველო ცენტრებში პროფგაერთიანებათა შრომის დაცვის განყოფილებებთან არსდება დაზღვევის საბჭოები.

რაც შეეხება დაზღვევის სახეს, იგი შემდეგია: საექიმო დახმარება და ფულით დახმარება.

საექიმო დახმარება ეძლევათ პირველ დახმარების სახით უცბათ ავად გახდომის შემთხვევაში, საამბულატორიო ექიმობის სახით, მშობიარობის დროს, საავადმყოფოებში ტ კურორტსანატორიუმებში ექიმობით და სახლებში საექიმო დახმარების აღმოჩენით. ამავე დროს ეძლევათ უფასოდ წამლები, შესახვევი მასალა და სხვა ყველა საექიმო საშუალებანი.

პენსია და დახმარება ეძლევა ყველას, ვინც სცხოვრობს დაქირავებულ შრომით და დაკარგეს ნამუშევარი ან მისი ნაწილი, დროებით, ნაწილობრივ ან სამუდამოდ შრომის უნარის დაკარგვის მიზეზით, იქნება ეს ავადმყოფობა, დასახიჩრება, ფეხმძიმობა, მშობიარება, პროფესიონალური ავადმყოფობა თუ სხვა.

დებულების ძალით დაზღვეულს, რომელმაც დაკარგა შრომის უნარი დროებით ავადმყოფობის გამო, ენახება სამსახურის ან მუშაობის ადგილი დღიდან ავად გახდომისა მორჩენამდე, მაგრამ არა უმეტეს 26 კვირისა; განმეორებითი ავადმყოფობის დროს საერთოდ არა უგვიანეს 36 კვირისა წელიწადში. დასახიჩრებით შრომის უნარის დაკარგვის დროს ენახება ადგილი მორჩენამდი ან მის ინვალიდობის დადასტურებამდე.

დახმარება დედობის შემთხვევაში ეძლევათ ფეხმძიმობის დროს, მშობიარებისა და ბავშვის ძუძუთი კვების ხანაში. ეს დახმარება ეძლევათ ფეხმძიმეთ, რომელებიც აწარმოებენ ფიზიკურ შრომას—8 კვირის განმავლობაში, დანარჩენებს კი—6 კვირის გამავლობაში დღიდან მშობიარობისა. იმ დედებს კი, რომლებიც კვებავენ ბავშვებს, დახმარება ეძლევათ 9 თვის განმავლობაში დღიდან მშობიარებისა.

დასამარხი დახმარება ეძლევა იმათ, ვინც მარხავს გარდაცვალებულს და დახმარება უდრის დაზღვეულ მიცვალებულის ნამუშევარს გამრავლებულს 25-ზე; ფულით დახმარება ოჯახის წევრებს, რომლებიც იმყოფებიან დაზღვეულთა ნამდვილ მზრუნველობის ქვეშ, ეძლევათ დაზღვეულის ოჯახის წევრის დასამარხად დაზღვეულის ცოლის შვილოსნობის შემთხვევაში.

პენსია შრომის უნარის (სრულიად ან ნაწილობრივ) დაკარგვის დროს წესდება იმ შრომის დარგის ტარიფის საშუალოს გამოანგარიშებით, რომელშიდაც ჩვეულებრივ მუშაობდა დაზღვეული შრომის უნარის დაკარგვამდე.

ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც ჯილდო ნამუშევრის რაოდენობისა ნორმის საზღვრებში, აგრეთვე ყოველ გვარი პრემია, ამასთანავე ნატურით კმაყოფის საშუალო ღირებულება და სხვა ყველა სახის ჯილდოები.

იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული გარდაიცვალა დასახიჩრებით ან პროფავადმყოფობით, ყველას, ვინც იყო მის ხარჯზე და არ აქვთ საშუალება არსებობისათვის, ენიშნებათ პენსია, რომელიც საერთოდ უდრის გადაცვლილის სრულ პენსიას და არ აღემატება თვითეულისათვის სრულ პენსიის ნახევარს.

რაც შეეხება უმუშევართა დაზღვევას, ამის უფლება აქვთ შრომის განყოფილებაში ჩაწერილებს, და რომელთაც არ აქვთ სხვა საშუალება არსებობისათვის, სახელმწიფო და კერძო წარმოებათა კვალიფიციური მუშების, რომლებმაც დაკარგეს სამუშევარი შტატების შემცირების ან წარმოების დახურვის გამო, სახელმწიფო და კერძო წარმოებათა და დაწესებულების არა კვალიფიციური მუშა მოსამსახურეებს, დათხოვნილთ შტატების შემცირების ან წარმოების დახურვის გამო, რომლებიც იყვნენ დაქირავებული წარმოებაში ან დაწესებულებაში არა ნაკლებ 1 წლისა.

დაზღვევის ყველა ნორმების განსახორციელებლად წესდება დასაზღვევი გადასახადი, რომელსაც იხდის სამუშაოს მიმცემი და არ აქვს უფლება გადაახდევინოს იგი დაზღვეულებს.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დადგენილება № 125**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტისა.**

**—სახალხო სასამართლოს დებულებების დამატებისა მოწმეთა გამოცხადებისათვის დაჯარიმების შესახებ.**

1921 წლის თბილისის 30-ს თარიღით გამოცხადებული სახალხო სასამართლოს დებულების დამატებად—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მუხ. 27-1. უკეთუ მოწმე დანიშნულ ვადაზე არ გამოცხადდა და შესაწყნარებელი განმარტება არ წარმოადგინა, სასამართლოს დადგენილებით გადახდება ჯარიმა 10.000 მანეთიდან 100.000 მანეთამდე; ხოლო უკეთუ ხელმეორედ არ გამოცხადდა არაპატივსადები მიზეზის გამო, ჯარიმა უნდა გადახდეს ერთი ორად,

მუხ. 27-2. უკეთუ სხდომა გადაიდო მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო, სასამართლო, აჯარიმებს არა პატივსადებ მიზეზით გამოუცხადებელთ, ახდენს განკარგულებას განმეორებით დაბარებულ იქნენ ან მილიციის მეშვეობით იქნენ მიყვანილნი ის მოწმენი, რომელთა პირადი დაკითხვა აუცილებლად არის ცნობილი; უკეთუ მოწმეები ხელ-მეორედ არ გამოცხადდნენ, სასამართლომ, ამ მოწმეთა დაჯარიმების გარდა, ვალდებულია მოახდინოს განკარგულება მათი მოყვანის შესახებ.

მუხ. 27-3. მოწმეთა გამოუცხადებლობის პატივსადებ მიზეზად ჩაითვლება: თავისუფლების აღკვეთა, ავათმყოფობა, მშობლების, ქმრის, ცოლის თუ შვილების სიკვდილი ან მძიმე ავადმყოფობა, რომელიც სიკვდილს მათ უქადის. აგრეთვე შორს ყოფნა გამოცხადებულ ადგილიდან, მიმოსვლის შეწყვეტა ან სიძნელე, ან და უწყების ჩაუბარებლობა ან უდროვოდ ჩაბარება და სხვა, რასაც სასამართლო იცნობს მოწმეთა გამოცხადების დამაბრკოლებელ გარემოებად.

**შენიშვნა 1:** სასამართლოს დადგენილება, რომელთაც მოწმის გამოუცხადებლობის მიზეზი შეუწყნარებლად იქნა ცნობილი, არ განსაჩივრდება.

**შენიშვნა 2:** 27-1 27-3. მუხლების მოქმედება ვრცელდება ექსპერტებზედაც.

მუხ. 27-4. სასამართლოში გამოცხადებისათვის მოწმეს ეძლევა გასამრჯელო, როგორც სახალხო მსაჯულს, —სახალხო სასამართლოს დებულების მე-19 მუხლით განსაზღვრულ წესით.

**შენიშვნა:** ექსპერტს გასამრჯელო ეძლევა სამოქალაქო საქმეთა სასამართლო ხარჯების დებულებაში გათვალისწინებული წესით.

მუხ. 27-5. მოწმეთა და ექსპერტების მიმართ სახალხო გამომძიებელნი ხელმძღვანელობენ ამა დებულების 27-1—27-4 მუხლებში აღნიშნულ წესს ამასთანავე მოწმის თუ ექსპერტის გამოუცხადებლობის მიზეზის შეუწყნარებლობა სახალხო გამომძიებლის მიერ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სახალხო სასამართლოში საზოგადო წესით.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ქავთარაძე**.

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე **ბროდსკი**.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე**.

1921 წ. დეკემბრის 31.

თბილისი—სასახლე.

**დადგენილება № 125.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა სახალხო სასამართლოს დებულების დამატებისა—კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ.**

იმ მიზნით, რათა მოდავე მხარეთ უფლება მიეცეთ—ითხოვონ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

I სახალხო სასამართლოს დებულება შევსებულ იქნეს შემდეგი მუხლებით:

მუხ. 122—1 ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ თხოვნის შეტანა შეიძლება სრულის წლის განმავლობაში, დღიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა,—იმ შემთხვევაში, უკეთუ აღმოჩნდება: სიყალბე აქტებისა იმ საქმეში, რომლის შესახებაც შესდგა გადაწყვეტილება, სიცრუე მოწმეთა თუ მცოდნე პირთა ჩვენებისა ან და, დანაშაულებრივი, მოქმედება მოდავე მხარისა ან მისი წარმომადგენლისა და საზოგადოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება ისეთი ახალი,—მოდავე მხარისათვის უცნობი გარემოება, რასაც საქმის გადაწყვეტაზე შეუძლიან იქონიოს არსებითი გავლენა.

მუხ. 122—2 გადასინჯვის შესახებ თხოვნის შეტანისათვის დადებულია ორი კვირის ვადა იმ დღიდან, როცა მთხოვნელმა შეიტყო ახალი გარემოება, რომელიც საბუთს იძლევა გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ თხოვნის აღძვრისათვის ან იმ დღიდან, როცა სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა, ხოლო თუ სისხლის სამართლის წესით გასარჩევი საქმე შეჩერებულია ან მოსპობილი, აღნიშნული ვადა ითვლება ამ საქმის წარმოების შეჩერების ან მოსპობის დღიდან, და უკეთუ საქმის აღძვრა შეუძლებელი იყო,—დღიდან დანაშაულის აღმოჩენისა.

მუხ. 122—3 თხოვნა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ განიხილება სახალხო მოსამართლეთა საბჭოს მიერ, სადაც ეს თხოვნა უნდა შეტანილ იქნეს ან პირდაპირ ან და იმ სახალხო სასამართლოს მეშვეობით, რომელსაც გადაწყვეტილება გამოუტანია.

II. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ქავთარაძე**.

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე **ბროდსკი**.

რევ. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე**.

1921 წ. დეკემბრის 31.

თბილისი—სასახლე.

**დადგენილება № 128.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა საქართველოდან სასურსათო საგნების გატანის აკრძალვის შესახებ.**

სასურსათო საგნების მოძრაობისა და ფართო მოხმარების საქმის მოსაწესრიგებლად—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს სრულიად გატანა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებიდან:

ა., ყოველგვარი პურეულობისა (როგორიც არის მაგალითად: ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია, [illegible] ისლი და სხ.) [illegible] (მარცვლად, ფქვილად, ნამცხვარად და სხ.).

ბ., ყოველგვარი ბრინჯეულობის;

გ., ლობიოსი;

დ., ყოველგვარი ფურაჟისა, როგორც მარცვლეულისა, ისე თივის და ჩალა-ბალახეულისა.

ე., რბილისა და მაგარი ჩასაყრელ საჩაწყობი წონა-საცავისა (ტარა) (როგორიც არის მაგალითად: ტომარა, საცალო, თოფრა, ტიკი და რუმბი, ყუთი, კათხა (ბოჩკა), ბიდონი და სხ.

ვ., შაქრისა ამა თუ იმ სახით;

ზ., ფართლეულობისა (მანუფაქტურა).

2. აკრძალულ იქნეს გატანა საქართველოს სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებიდან სასურსათო სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად:

ა., მუხუდოსი და იაპონური ძაძისა (სოია);

ბ, კაკლისა და თხილისა ნაჭუჭიანად და უნაჭუჭოდ—ამა თუ იმ სახით.

გ., ჩაისა-მოცვის და ოზურგეთურისა;

დ., ყოველგვარი ბოსტნეულობისა და ძირ-ნაყოფა ბოსტნეულისა (როგორიც არის მაგალითად: კართოფილი, კომბოსტო, ხახვი, ნიორი, ჭარხალი, სტაფილო, წიწაკა და სხ.) ამა თუ იმ სახით (ნედლად, ხმელად, მწნილად, კონსერვად და სხ.);

ე., რძის ყოველგვარი პროდუქტისა (როგორიც არის მაგალითად: რძე ამა თუ იმ სახით,—ყველი, ერბო-კარაქი, მაწვნის ნაღები (სმეტანა) მაწონი ხაჭო და სხ.);

ზ., ღვინისა და ყოველგვარი მაგარი (სპირტისა სასმელისა.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტ. თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ქავთარაძე**.

სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილე **ა. ერქომაიშვილი**.

რევოლიუც. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე**.

1922 წ. იანვრის 10

თბ.-სასახლე.

**სარედაქციო კოლეგია.**

**მიიღება ხელის მოწერა 1922 წ.**

გაზ. „კომუნისტზე“

ხელის მოწერის პირობები:

1 თვით თბილისში და პროვინციაში 100.000 მან.

ცალკე ნომერი თბილისში 5.000 მან.

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, ქოხი-სამკითხველოებისა და წითელ-არმიელთა კლუბებისათვის ერთი თვით 50.000 მან.

დროებით ხელის მოწერა და განცხადებ ბის მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში (ლორის-მელიქოვის, № 5), დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

**მიიღება ხელის მოწერა**

**1922 წლისათვის, გაზეთ**

„მიწის მუშა“-ზე

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ: ორშაბათ-ხუთშაბათობით. თვეში ღირს 40,000 მანეთი, ფულის გადახდა წინდაწინ არის საჭირო.

პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებებს გაზეთი დაეთმობათ 30,000 მანეთათ თვეში.

გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით: თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 19, „მიწის მუშას“. 1—5

# განათლების მუშაკთა ყრილობა

28 იანვარს თბილისში მოწვეულია სრ. საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობა. წარმომადგენლობის ნორმა: ყოველი 50—ირჩევს ერთ დელეგატს, ამ რიცხვის ნახევარზე მეტს რჩება უფლება იყოლიოს ერთი წარმომადგენელი. არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე. წარმომადგენლობის ნორმა: 10—1 დელეგატს, ამ რიცხვის ნახევარზე მეტი გზავნის მაინც ერთ წარმომადგენელს. ყრილობის დღის წეს-რიგი:

1. მიმდინარე მომენტი,
2. განათლების და ხელოვნების ც. გ. მოხსენებანი,
3. სარევიზიო კომისიების მოხსენებანი,
4. კავშირების საწარმოო და საგანმანათლებლო მიზნები,
5. განათლების კომისარიატის მოხსენება,
6. კავშირების საორგანიზაციო ამოცანები,
7. კავშირების სატარიფო პოლიტიკა,
8. წითელი პროფინტერნაციონალი,
9. გამგეობის არჩევნები,
10. სარევიზიო კომისიის არჩევნები.

**საორგანიზაციო ბიურო.**

---

**პარტიული.**

მე-II რაიკომის „აღმრიცხავ-საინფორმაციო“ ქვეგანყოფილება წინადადებას აძლევს გამოცხადდნენ ქვემო ჩამოთვლილ იაჩეიკების მდივნებს ან წარმომადგენლებს: 1) სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის, 2 ქალაქის მილიციის, 3) სამკერვალო მრეწველობის კავშირის, 4) ელექტრო სადგურების და 5) ცეცხლის მქრობელთა რაზმის.